ახალი განათლება

2009 წელი, 15-21 ოქტომბერი

ფასი 90 თეთრი

№30 (464) გამოდის 1998 წლიდან

როგორი იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდები 2010

გვესაუბრება ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი

– დავიწყოთ იმ სიახლით, რაც 2010 წლისთვის იგეგმება.

– 2010 წლისთვის ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება იგეგმება. პირველი – შეიცვალა არჩევითი

■ შეიცვალა არჩევითი საგნების ნუსხა: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია და ლიტერატურა.

■ იგეგმება მეოთხე სავალდებულო გამოცდის შემოღება.

საგნების ნუსხა იმგვარად, რომ საბუნებისმეტყველო ტესტი, სადაც გაერთიანებული იყო ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია, დაიშალა, ისევე როგორც ისტორია-საზოგადოებრივი მეცნიერებების ტესტი, რომელშიც ისტორია, სამოქალაქო განათლება და გეოგრაფია იყო გაერთიანებული. ამგვარად, არჩევითი საგნების ნუსხა ასე გამოიყურება: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია და ლიტერატურა. ეს ძალიან კარგია, რადგან ცალკეული ფაკულტეტები მაქსიმალურად ერიდებოდნენ საბუნებისმეტყველო საგნების არჩევას, ბუნებრივია, ყველა უმაღლესი სასწავლებელი დაინტერესებულია, მეტი აბიტურიენტი მიიზიდოს. რაც უფრო მარტივი ფორმით იქნება მიღება და რაც უფრო ნაკლებ გამოცდას ჩააბარებს აბიტურიენტი, მით უფრო მიმზიდველი იქნება მისთვის უმაღლესი სასწავლებელი. საბუნებისმეტყველო ტესტის არჩევის შემთხვევაში, აბიტურიენტს სამ საგანში უწევდა მომზადება.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც იგეგმება, არის მეოთხე გამოცდის სავალდებულოდ შემოღება, ანუ იქნება სამი აუცილებელი გამოცდა – ზოგადი უნარები, ქართული, ერთ-ერთი უცხო ენა და ფაკულტეტი და უმაღლესი სასწავლებელი, თავისი შეხედულებისამებრ, სავალდებულო საგნების ნუსხიდან აარჩევს ერთ-ერთს. უფრო მეტიც, ფაკულტეტს შეუძლია რამდენიმე გამოცდა გამოაცხადოს, ანუ თქვას, რომ ჩვენთან ჩაირიცხება აბიტურიენტი, რომელსაც ჩაბარებული ექნება, მაგალითად, ან ქიმია, ან ბიოლოგია. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, აბიტურიენტი ირჩევს, რომელ გამოცდას ჩააბარებს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ჯერ მუშაობის პროცესშია და, ჩემი აზრით, ესეც ძალიან კარგი იქნება, თუ დაფინანსებას (სახელმწიფო გრანტს ვგულისხმობ) მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებს არ მივაბამთ და გათვალისწინებული იქნება ყველა გამოცდის შედეგი. ჩვენი მთავარი პრინციპი, როდესაც ამ სისტემის დანერგვაზე ვმუშაობდით, იყო ცოდნის და უნარების კომპლექსური შეფასება და არა კონკრეტულად რაიმე უნარის ან კონკრეტულად რაიმე ცოდნის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპია და დაწყებული 2005 წლიდან სწორედ ამას ვამბობთ. სხვათა შორის, 2005 წელს სახელმწიფო გრანტი, თუ გახსოვთ, ყველა გამოცდის შედეგის საფუძველზე გაიცემოდა. თუმცა, მაშინ იყო გარკვეული უსამართლობა – ზოგი სამ გამოცდას აბარებდა, ზოგი კი – ოთხს, არჩევითი იყო მხოლოდ მათემატიკა, ანუ ჩაბარებული გამოცდების რაოდენობის მიხედვით, აბიტურიენტები არათანაბარ პირობებში იყვნენ ჩაყენებული. ამიტომაც დავიწყეთ ასეთი პრინციპით სისტემის დანერგვა, რადგან დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ კომპლექსური შეფასებაა ძალიან მნიშვნელოვანი, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რა თქმა უნდა, ცოდნა და ის უნარებიც, რომლებიც აუცილებელია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. ასე რომ, თუ დაფინანსების საკითხი დადებითად გადაწყდა, ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ეს არის ძირითადი ცვლილებები.

თუმცა, არის მთავრობის კიდევ ერთი ინიციატივა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის. მოგეხსენებათ, ზოგადი უნარების ტესტი მათთვის ითარგმნებოდა რუსულად, სომხურად და აზერბაიჯანულად. ასე რომ, ჩვენს აბიტურიენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ეს, ასე ვთქვათ, სპეციფიკური გამოცდა მშობლიურ ენაზე ჩაებარებინათ, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მათთვის მნიშვნელოვანი ბარიერია ქართული ენისა და ლიტერატურის ჩაბარება. თუმცა, საქართველოს მოქალაქემ აუცილებლად უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა.

კარგი იქნება, თუ დაფინანსებას მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებს არ მივაბამთ და გათვალისწინებული იქნება ყველა გამოცდის შედეგი.

მთავრობის ინიციატივა – არაქართულენოვანი აბიტურიენტების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს იმას, რომ ისინი ცალკე კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას, ანუ მათთვის, ვინც ზოგადი უნარების ტესტს ჩააბარებს სომხურად ან აზერბაიჯანულად, ცალკე იქნება გამოყოფილი კვოტა, არსებული რაოდენობის 5 პროცენტის ფარგლებში (უმაღლესი სასწავლებლის მიერ გამოცხადებული საკონკურსო ადგილების 5 პროცენტი): 5 პროცენტი – სომხურენოვანებისთვის, 5 პროცენტი – აზერბაიჯანულენოვანებისთვის, 1 პროცენტი – ოსი აბიტურიენტებისთვის და 1 პროცენტი – აფხაზებისთვის. რა თქმა უნდა, მათ ცალკე კონკურსი ექნებათ და საერთო კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებენ. თუ გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ანუ თუ ჩააბარეს უნარების ტესტი და ჩაირიცხნენ ამ 5 პროცენტის ფარგლებში, 5 წლის განმავლობაში ისწავლიან უმაღლეს სასწავლებელში. პირველი წელი ჩაუტარდებათ ინტენსიური მეცადინეობა ქართულ ენაში იმისათვის, რომ დააგროვონ შესაბამისი კრედიტები ქართულში და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეუერთდებიან პირველკურსელებს. შემდეგი ოთხი წელი მათ ქართულ ენაზე მოუწევთ სწავლა და ის პირველი წელი იქნება სწორედ მოსამზადებელი წელი ბაკალავრიატისთვის.

გვერდი 2-3

„დიალოგის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

2009-2010 სასწავლო წელს გაზეთი **„დიალოგი“** კვლავაც თქვენი საჭიროებების გათვალისწინებით დაკომპლექტდება და სამ ენაზე (ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად)გამოვა გაზეთის ცხრა ნომერი (ოქტომბერ-ივნისი). მისი თითო ეგზემპლარი კვლავაც უსასყიდლოდ გავრცელდება საჯარო სკოლებსა და რესურსცენტრებში. რაც შეეხება კერძო სკოლებს, მათ „დიალოგის“ მხოლოდ პირველი ნომერი მიეწოდებათ.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გაზეთ „დიალოგის“ გარდა მკითხველს, ასევე, სთავაზობს გაზეთს, სახელწოდებით – **„დიალოგი +“**.

სიახლე! გაზეთ „დიალოგის“ მკითხველთა საყურადღებოდ!
2009-2010 სასწავლო წელს
გაზეთ „დიალოგი+“-ის ხელმოწერეგს და გავრცელებას ახორციელებს
გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია

2009-2010 სასწავლო წელს გამოვა „დიალოგი +“ -ის 8 ნომერი (ნოემბერ-ივნისი). გაზეთის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე:

მიმღები	შპს „ახალი განათლება“
მიმღები ბანკი	სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი	220101956
ანგარიშის ნომერი	30236563
საიდენტიფიკაციო კოდი	202058735

გადმორიცხვის დროს, აუცილებელია, გარკვევით მიეთითოს ქალაქის, დაბის ან სოფლის დასახელება.

სასურველია, ხელმოწერები განხორციელდეს 1 ნოემბრამდე, რათა ყველა ხელმომწერმა მიიღოს „დიალოგი+“-ის სრული კომპლექტი. „დიალოგი +“-ის საცალო ღირებულებაა ***1 ლარი,*** კომპლექტის ანუ გამოწერის წლიური თანხა შეადგენს ***8 ლარს.***

გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: **რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს** და **ორგანიზაციებს**.

გაზეთის გამოწერის პროცედურები:

- სკოლის დირექციამ ორგანიზება უნდა გაუწიოს გაზეთის გამოწერისთვის განაცხადებისა და თანხების მოგროვებას;
- სკოლის დირექციამ შეგროვებული თანხა უნდა ჩარიცხოს გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე. გადახდის ქვითარი და მოთხოვნების დოკუმენტი უნდა გადასცეს რესურსცენტრს;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა სკოლების მიერ წარმოდგენილი გადახდის ქვითრები და მოთხოვნების დოკუმენტები უნდა მიაწოდოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციას;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უნდა ჩაიბაროს გაზეთები გამავრცელებლისგან და გაფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციასთან (მიღება-ჩაბარების აქტები რესურსცენტრებს მიეწოდება გაზეთთან ერთად, 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი პირი, არა უგვიანეს 2 კვირისა, უნდა დაბრუნდეს „ახალი განათლების“ რედაქციაში);
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უნდა მიაწოდოს სკოლებს გაზეთები მოთხოვნის დოკუმენტში მითითებული რაოდენობით.

გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის მისამართია:
თბილისი, ტეტელაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890 958023; 877 132283
ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

გაზეთის ხელმოწერის თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები	შპს „ახალი განათლება“
მიმღები ბანკი	სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი	220101956
ანგარიშის ნომერი	30236563
საიდენტიფიკაციო კოდი	202058735

ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერი ბანკიდან.

პატივისცემით, "დიალოგი + "- ის რედაქცია

აქტუალური ინტერვიუ

როგორი იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდები 2010

პირველი გვერდიდან

მაია მიმინოშვილი

– სხვა ქვეყნებში თუ არის იმის პრეცედენტი, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები უმაღლესში მშობლიურ ენაზე აბარებდნენ გამოცდებს?

– რა თქმა უნდა, არის. როცა ზოგადი უნარების ტესტები ვთარგმნეთ მათ მშობლიურ ენაზე, ეს მიზანმიმართულად გავაკეთეთ. ჩვენ თავიდანვე გვინდოდა ზოგადი უნარების თარგმნა, მაგრამ ტესტი რომ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მოგვემზადებინა (რაც ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული), დაგვჭირდა სომხეთისა და აზერბაიჯანის განათლების სამინისტროებთან დაკავშირება და მჭიდრო თანამშრომლობა იმისათვის, რომ ადეკვატური თარგმანი შეგვერჩია (ჩვენ ვერ შევამოწმებდით, რამდენად კვალიფიციურად იყო ნათარგმნი ტესტური დავალებები). ამაში მართლაც დაგვეხმარა ორივე ქვეყნის სამინისტრო, შეგვირჩიეს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები და ტესტებიც მომზადდა. უკვე მესამე წელია, უნარებს მათ მშობლიურ ენებზე ვთარგმნით. ზოგადი უნარები სპეციფიკური ტესტია, აქ უნარებს ვამოწმებთ და არა ცოდნას, ამიტომ ბარიერი არ უნდა იყოს ენის არასათანადოდ ცოდნა იმ უნარების გამოსავლენად, რომელსაც ეს ტესტი ამოწმებს.

ანალოგიური ტესტები საკმაოდ ეფექტურად მუშაობს სხვა ქვეყნებში. მაგალითად, ისრაელში ასეთი ტიპის ტესტებს ცხრა ენაზე თარგმნიან და, რა თქმა უნდა, ამის გამოცდილება არსებობს. თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებში არავინ გითარგმნის ტესტს, მხოლოდ და მხოლოდ ინგლისურად ბარდება.

ძალიან მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ქართული ენის შესწავლას არაქართულენოვან სკოლებში, რომ ბავშვი უკვე მომზადებული მოვიდეს უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად და, გარკვეულ დონეზე, ქართული ენის გამოცდის ჩაბარებაც შეეძლოს. სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობის ერთ-ერთი გზა ის დამატებითი წელია უმაღლეს სასწავლებელში, რომლის განმავლობაშიც არაქართველ სტუდენტებს საშუალება ექნებათ, კარგად შეისწავლონ ქართული ენა და სწავლის გასაგრძელებლად შესაბამისი კრედიტები დააგროვონ.

ქართული ენის ინტენსიური შესწავლის შემდეგ, თვითონ სტუდენტი ირჩევს სპეციალობას და, უმაღლესი სასწავლებლის დირექციასთან შეთანხმებით, სწავლას აგრძელებს შერჩეულ ფაკულტეტზე, ბაკალავრიატში. ეს პროგრამა კანონში ცვლილების შეტანას ითვალისწინებს, ამდენად პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს.

– რაც შეეხება მეოთხე სავალდებულო საგანს, სავარაუდოდ, როდის გამოქვეყნდება ამ საგანთა ჩამონათვალი, რომ აბიტურიენტებს დროულად მიეცეთ მომზადების საშუალება?

– როგორც კი მთავრობის დადგენილება იქნება, ჩვენ მოკლე ვადაში უზრუნველვყოფთ ამ ინფორმაციის შეგროვებას. უკვე დავიწყეთ მოსამზადებელი სამუშაო, დავაგზავნეთ კითხვარები, რომ იმ უმაღლესი სასწავლებლებიდან, რომლებმაც უკვე გაიარეს აკრედიტაცია და არაფერი ემუქრებათ, მივიღოთ ინფორმაცია, კონკრეტულ ფაკულტეტებზე რომელ საგანში იქნება დამატებითი გამოცდა. ეს ინფორმაცია მთავრობის დადგენილების მიღებიდან, მაქსიმუმ, სამი კვირის შემდეგ გამოქვეყნდება.

– როდის იგეგმება მთავრობის სხდომა?

– რამდენადაც ვიცი, განხილვა იქით კვირას გაიმართება. მინდა, რომ ეს მონაცემები აბიტურიენტებმა ნოემბრის დასაწყისამდე მიიღონ. მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში ვეცდებით ჩატევას.

– არ არის თანხვედრა ეროვნული გამოცდებისა და სასკოლო პროგრამებს შორის? რამ გამოიწვია ეს?

– საგამოცდო პროგრამის შედგენა რამდენიმე პრინციპს ემყარება. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი – საგამოცდო პროგრამა არ უნდა სცილდებოდეს სასკოლო პროგრამის ფარგლებს, ანუ ჩვენ არ გვაქვს უფლება, მოვთხოვოთ აბიტურიენტს ის, რაც არ უსწავლებიათ სკოლაში, მაგრამ საგამოცდო პროგრამა ვერაფრით სახელმძღვანელოზე ვერ იქნება აგებული.

ჯერ ერთი, იცით, რომ არსებობს ალტერნატიული სახელმძღვანელოები და ერთი საკითხი შეიძლება შესული იყოს ერთ სახელმძღვანელოში, მეორე – არა და ა.შ. საგამოცდო პროგრამა დგება არსებული სასწავლო გეგმის ჩარჩოებში და არ უნდა სცილდებოდეს მას. ეს პრინციპი, რა თქმა უნდა, დაცულია.

მეორე ის არის, რომ შეუძლებელია საგამოცდო პროგრამა იყოს იგივე, რაც სასწავლო გეგმა, შემჭიდროებულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს, ცოტა უფრო დაკონკრეტებული უნდა იყოს, რაც გაკეთდა კიდეც. ამასთან დაკავშირებით იყო დისკუსიები. მაგალითად შემიძლია მოგიყვანოთ საგამოცდო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რაზეც დიდი უკმაყოფილება იყო სასწავლო გეგმების ცენტრიდან და ამის მიზეზად ასახელებდნენ ასეთ რამეს – ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო გეგმაში არის რეკომენდებულ ავტორთა ჩამონათვალი, რაც უნდა ისწავლებოდეს სკოლაში (კარგად დაუკვირდით – **რეკომენდებულ ავტორთა ჩამონათვალი**!). ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლას და მასწავლებელს უფლება აქვთ, სხვა ავტორებიც ასწავლონ. მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩამონათვალში არ არის, მაგრამ ვიცი რიგი სკოლებისა, სადაც მაინც ასწავლიან. ამიტომაც ვამბობ, რომ იმაზე მიბმა, რასაც სკოლაში ასწავლიან, შეუძლებელია. ჩვენ, რა თქმა უნდა, ალექსანდრე ჭავჭავაძე პროგრამაში არ შეგვიტანია. სასწავლო გეგმაში მხოლოდ ავტორთა ჩამონათვალია და მეტი არაფერი, ჩვენს პროგრამაში არის მწერალი და იმ ნაწარმოებთა ჩამონათვალი, რომელზე დაყრდნობითაც დგება ტესტური დავალებები. ამის გამო იყო ის გაუგებრობა და უსიამოვნება, როცა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების ცენტრიდან მოდიოდა მითითება: ნუ დაავიწროებთ ასე პროგრამას იმიტომ, რომ თქვენ რომელ ნაწარმოებსაც მიუთითებთ, მხოლოდ იმას ისწავლის მოსწავლე სკოლაში და მხოლოდ იმას ასწავლიან მასწავლებლებიც. ჩვენი მიზანი კი იმის ხელშეწყობაა, რომ მოსწავლეები უფრო განათლებულები იყვნენ და უფრო მეტი წაიკითხონ. თავისთავად, თითქოს, ძალიან კარგი სურვილია, მაგრამ, მეორე მხრივ, დავუკვირდეთ, რა მდგომარეობაში ვაგდებთ აბიტურიენტს, როცა ვეუბნებით, საერთოდ არ არის საჭირო საგამოცდო პროგრამა, როცა სასწავლო გეგმაშია ავტორთა ჩამონათვალი და შეგიძლია, იხილო, მაგრამ, როცა წერია ვაჟა ფშაველა, არ გეტყვი კონკრეტულად რომელ ნაწარმოებებზეა საუბარი; წერია აკაკი წერეთელი, მაგრამ რომელი ნაწარმოებები – არ არის მითითებული და ა.შ. ამ ავტორთაგან თითოეულის ნაწარმოებები, მინიმუმ, ოცტომეულს მაინც შეადგენს და რას ვეუბნებით აბიტურიენტს, აიღოს ეს ტომეულები და ყველაფერი ერთდროულად იკითხოს?! სწორედ იმაზე იყო საუბარი, რომ საგამოცდო პროგრამაში იყოს იმ ნაწარმოებების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც შედგებოდა საგამოცდო ტესტები და არა რომელიმე კონკრეტული სახელმძღვანელოს ან ამგვარი სასწავლო გეგმის მიხედვით.

საგამოცდო პროგრამაში არც ერთი ისეთი მწერალი არ შედის, რომელიც სასწავლო გეგმაში არ არის. უბრალოდ ჩვენთან დაკონკრეტებულია. მაგალითად, არ წერია მხოლოდ „დავით კლდიაშვილი“, წერია დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, „დარისპანის გასაჭირი“. ჩამოთვლილია ნაწარმოებები. აი, ამის გამო მოხდა მთავარი შეუთანხმებლობა გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების ცენტრს შორის, მაგრამ პროგრამა მაინც დამტკიცდა.

დიდი პრობლემა გვქონდა, ასევე, მათემატიკის საგამოცდო პროგრამასთან დაკავშირებით იმიტომ, რომ სასწავლო პროგრამა გართულდა, ისეთი საკითხები შევიდა, რომელიც ადრე არ შედიოდა და ჩვენც იძულებული გავხდით, შეგვეტანა ეს საკითხები საგამოცდო ტესტში. თუ გამოცდის შედეგებს გადავხედავთ, თვალის ერთი შევლებითაც კი ჩანს, რომ სწორედ ახალშეტანილი საკითხები (გარკვეული ნაწილი არ შევიდა, რადგან ვიცოდით, რა შედეგს მივიღებდით) ძალიან რთული აღმოჩნდა. მათემატიკის საშუალო ქულა ძალიან დაბალია.

ასე რომ, საუბარი იმაზე, რომ საგამოცდო პროგრამა არ ემთხვევა სასწავლო გეგმას, ნამდვილად ზედმეტია იმიტომ, რომ ვერც ერთ საკითხს ვერ ნახავთ ვერც ერთ საგანში, რომელიც სასწავლო გეგმაში არ შედის და საგამოცდო პროგრამაშია შეტანილი. მაგრამ სხვა საკითხია სახელმძღვანელო. ისევ ვიმეორებ, კონკრეტულ სახელმძღვანელოზე მიბმა და იმის მიხედვით საგამოცდო პროგრამის შექმნა, ჩვენი მხრიდან ავტორის ლობირებას ნიშნავს, რაც დაუშვებელია. სახელმძღვანელო დგება სასწავლო გეგმის მიხედვით და ავტორის გადასაწყვეტია, როგორ შეადგინოს იგი. ჩვენი მიზანია, არ გავცდეთ სასწავლო გეგმას, მის ფარგლებში მოვექცეთ და, რა თქმა უნდა, მეტად თუ ნაკლებად, მკაფიო იყო საგამოცდო პროგრამა და არა ასეთი სუმბურული, როცა მხოლოდ ავტორთა ჩამონათვალზეა საუბარი.

– როგორი იყო 2009 წლის ეროვნული გამოცდები?

– სურათი წინა წლებისგან დიდად განსხვავებული არ არის. იყო მოსაზრება, თითქოს, წელს უნარების ტესტები უფრო გართულდა, მაგრამ საშუალო ქულა დაფიქსირდა იგივე, რაც შარშან – 45-46. ცოტა კი გაუჭირდათ აბიტურიენტებს, მაგრამ სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ წლევანდელი შედეგი შარშანდელისგან ბევრად არ განსხვავდება. რეგიონების მიხედვით დეტალური ანგარიში მზადდება და მოგვიანებით გამოქვეყნდება.

რაც შეეხება თვითონ შინაარსობრივ ნაწილს: უკვე გითხარით, რომ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ტესტები დაიშალა. შესაძლებელია, ასევე, რომ უნარების ტესტებში ნაკლები დავალება შევიდეს, 100-ის ნაცვლად, 80(40+40). რა თქმა უნდა, როცა გადაწყვეტილებას მივიღებთ, აუცილებლად გვექნება პრეზენტაცია. ამის მიხედვით შედგება ტესტების ნიმუშთა კრებულები და აბიტურიენტებს დროულად მივაწოდებთ ინფორმაციას. შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, არაფერს არ ვართულებთ, პირიქით, ვამარტივებთ. ჩემი აზრით, ზოგადი უნარების გამოცდა აბიტურიენტებისთვის ყველაზე სტრესულია. ჯერ ერთი, ამ გამოცდას უზარმაზარი დატვირთვა ჰქონდა, რაც გაუმართლებელია. უნარების გამოცდა მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ თავის ფუნქციასაც ვაკარგინებდით და აბიტურიენტსაც ძალიან სტრესულ მდგომარეობაში ვაყენებდით – მან იცოდა, რომ ამაზეა დამოკიდებული დაფინანსება და აუცილებლად მაღალი ქულები უნდა მიიღოს. დაფინანსების მოდელის შეცვლით ეს ფაქტორიც მოიხსნება. შინაარსობრივადაც გვინდა, გავამარტივოთ ტესტები და რაოდენობრივი თვალსაზრისითაც, 80 დავალების შესრულება მათთვის უფრო მარტივი იქნება, ვიდრე 100-ის.

მოგეხსენებათ, ზოგადი უნარების გამოცდისთვის 3 საათი იყო გამოყოფილი. ახლა მუშაობს ჯგუფი, რომ დაადგინოს, რამდენად მიზანშეწონილი იქნება დროის შემცირება თუ იმავე დროის განმავლობაში უფრო მცირე რაოდენობის დავალებები აქვთ შესასრულებელი. რადგან აბიტურიენტებს ეცოდინებათ, რომ დაფინანსება ოთხი გამოცდის შედეგებიდან გამომდინარეა და სხვა გამოცდებშიც უნდა გამოიჩინონ თავი, დაძაბულობაც მოეხსნებათ. ხშირია შემთხვევები, როცა აბიტურიენტს სხვა საგნებში მაღალი ქულები აქვს, შედარებით ნაკლები – ზოგად უნარებში და უმაღლესის გარეთ რჩება.

– წელს გადასალახი მინიმალური კომპეტენციის ბარიერი აწეული იყო. როგორია შედეგი?

– გარკვეულ პროცენტს, რა თქმა უნდა, გაუჭირდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა. ჩვენ დავინტერესდით და გადავხედეთ წინა წლის შედეგებს – იქ რომ ყოფილიყო 26 ქულა გამსვლელი, რამდენი პროცენტი ვერ გადალახავდა. წელს ანალოგიური მაჩვენებელი მივიღეთ. უბრალოდ, რა თქმა უნდა, შარშან 15 ქულა იყო, წელს კი – 25 და განსხვავებაც, ბუნებრივია. მაგრამ ისევ ვიმეორებ, ეს ზღვარი შარშან რომ ყოფილიყო, ზუსტად ისეთივე შედეგი იქნებოდა, როგორიც წელს მივიღეთ.

– წელს ხომ არ აიწევს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი?

– არა, ამაზე საუბარიც კი არ არის.

– გამოცდების ეროვნულ ცენტრს არაერთი საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული. 2009 წელს ჩაერთეთ მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამაში (PISA). როგორია შედეგი?

ძალიან მინდა, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის ინიციატივა იყოს – მაქსიმალური ხელშეწყობა სკოლებს. უნდა დასრულდეს რეპეტიტორობა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ სკოლა იქნება ის ადგილი, სადაც, პირველ რიგში, იქნება მიწოდებული უახლესი ინფორმაცია და მოსწავლეები იმათგან მიიღებენ რეკომენდაციებს და სავარჯიშოებს, ვინც ტესტური დავალებების შედგენაზე მუშაობს.

– ოქტომბრის ბოლოს საველე ტესტირება გვექნება. ორი კვლევის – წიგნიერების კვლევა (9-10 წლის მოზარდებში წაკითხულის გააზრების უნარი) და მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების (IV და VIII კლასები) კვლევა – ანგარიში უკვე მზად არის. PISA 14-15 წლის მოზარდების შეფასების საერთაშორისო პროგრამაა. მეოთხე უკვე არის მომავალი მასწავლებლების განათლების კვლევა. ოფიციალური ანგარიშის მომზადების უფლება არ გვაქვს, სანამ არ იქნება საერთაშორისო პრესრელიზი, რაც დეკემბრის ბოლოსაა დაგეგმილი, ანუ იანვრიდან უკვე შეგვეძლება ნაციონალური ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება. კვლევა უმაღლეს სასწავლებლებს ეხებოდა და ბევრი პარამეტრით მოწმდებოდა – როგორ ამზადებს ქვეყანა მომავალ მასწავლებლებს, რა რესურსებით, რა ცოდნას აძლევს, როგორი გარემოა. ვიკვლევდით ადამიანებს, რომლებიც ხვალ სკოლის კარს შეაღებენ და მასწავლებლებად მოგვევლინებიან. ძალიან მნიშვნელოვანი კვლევაა. ჩართული იყო ათი უმაღლესი სასწავლებელი, მონაწილეობდნენ მეოთხეკურსელი ბაკალავრები და მეორეკურსელი მაგისტრები (ვისაც მომავალ წელს მასწავლებლად მუშაობის უფლება ექნება), რა თქმა უნდა, ჩართულები იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები. გაკეთდა დეტალური ანალიზი იმ სილაბუსების, რომლითაც ამზადებენ უმაღლეს სასწავლებელში მომავალ მასწავლებლებს. კითხვარებს ავსებდა, რექტორიდან დაწყებული, ყველა – ლექტორები, სტუდენტები (მათ ტესტებიც შეავსეს, სადაც მათი ცოდნა მოწმდებოდა). კომპლექსური და ძალიან მნიშვნელოვანი კვლევა იყო. სამწუხაროდ, ამ კვლევამ აჩვენა, რომ ძალიან მძიმე ვითარება გვაქვს – მონაწილე ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზე გავედით (წარმოიდგინეთ, რომ ბოცვანაც კი გვისწრებს).

იმ ფაქტორების შესწავლა განხორციელდა, რომლებიც გავლენას ახდენს სტუდენტის მასწავლებლად ჩამოყალიბებაზე. კვლევაში მონაწილეობდა ორი კატეგორია – მომავალი მათემატიკის მასწავლებლები (საბაზო-საშუალო) და დაწყებითი კლასების მასწავლებლები. მათ ჰქონდათ ტესტი შესავსები, რომელიც ამოწმებდა სპეციალობის ცოდნას (მაგალითად, კონკრეტულად მათემატიკაში), პროფესიულ უნარებსა და, რა თქმა უნდა, პედაგოგიკის ცოდნას (განვითარების თეორია იქნება ეს თუ სხვ.). შემდეგ სტუდენტი ავსებდა კითხვარს, რომელიც ამოწმებდა, რამდენად ადეკვატურად იღებს ის იმ ცოდნას, რაც აუცილებელია, ვთქვათ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე მათემატიკა რომ ასწავლოს ან დაწყებითი კლასის მასწავლებელი რამდენად არის მზად, იცის თუ არა სპეციფიკური მეთოდოლოგია. ამ კითხვარს ავსებდნენ ის პროფესორ-მასწავლებლებიც, ვინც ამ სტუდენტებს ასწავლიან.

დეტალურად იქნა შესწავლილი: არის თუ არა სილაბუსი ადეკვატური იმისათვის, რომ სათანადო დონეზე მოამზადო მასწავლებელი, არიან თუ არა კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, არის თუ არა სათანადო გარემო შექმნილი თვითონ უმაღლეს სასწავლებელში იმისათვის, რომ მომავალი მასწავლებლები მოამზადონ, აქვთ თუ არა გავლილი პრაქტიკა სკოლაში, თუ გაუვლიათ – როგორი და სხვ. ანუ სერიოზულად იქნა შესწავლილი, თუ რამდენად მომზადებული მიდის მომავალი მასწავლებელი სკოლაში. ამ კვლევის შედეგი უმძიმესია. მართალია, ვერც წიგნიერებაში გამოვიჩინეთ თავი და ვერც მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში, მაგრამ ბოლო ადგილზე არ გავსულვართ. ეს შედეგი ნამდვილად ყურადსაღებია და ანგარიში რომ მომზადდება, შემდეგ, აუცილებლად, ადეკვატური ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

– თუ სკოლას კვალიფიციური პედაგოგი არ ეყოლება, რა აზრი აქვს რეფორმის გატარებას?

– ჯოხი მარტო პედაგოგებზე არ უნდა გადავტეხოთ. ამ ადამიანთა უმეტესობა ნამდვილად დასაფასებელია და, მართლაც, ფასდაუდებელი შრომა აწევთ. ბევრი პედაგოგი ვიცი ისეთი, რომელიც მაგალითიც კი შეიძლება იყოს სხვებისთვის. სხვა საქმეა, როცა ბევრი რამ აცდენილია. ისევე როგორც საგამოცდო პროგრამა არ უნდა სცდებოდეს სასწავლო გეგმას, ამ შემთხვევაშიც, დავალებები, რომლებიც სასერტიფიკაციო გამოცდისთვის იქმნება, ეყრდნობა არსებულ მასწავლებლის სტანდარტს, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა შექმნა. მაგალითად, სტანდარტში წერია, რომ მასწავლებელი უნდა იცნობდეს და იყენებდეს იქ ჩამოთვლილ განვითარების თეორიებს. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ეს უმაღლესში არ უსწავლიათ, არ არსებობს ხელმისაწვდომი ლიტერატურა და როგორ შეიძლება ადამიანს მოჰკითხო ის, რაც არ გისწავლებია. ამ თემასთან დაკავშირებით იყო დიდი დისკუსია და შემდეგ მოვამზადეთ ტესტური დავალებები, ამ სტანდარტზე დაყრდნობით. აპრობაციაზე რომ შევიტანეთ, საშინელი აგრესია იყო მასწავლებლებისგან, რაც სავსებით ბუნებრივი რეაქციაა, რადგან ეს ნაწილი მათთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. შემდეგ, მეტ-ნაკლებად, მოვახერხეთ ამის შერბილება, მაგრამ ხომ უნდა დაუკვირდე, როდესაც სტანდარტში წერ, იცნობდეს და იყენებდეს, მაშინ მასწავლებელს ამ თეორიების გაცნობისა და ერთმანეთთან შედარების საშუალება უნდა მიეცეს.

მომავალი მასწავლებლების კვლევამ აჩვენა, რომ ძალიან მძიმე ვითარება გვაქვს – მონაწილე ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზე გავედით.

საერთოდ, არ ვარ მომხრე, რომ მასწავლებლის ბედი მხოლოდ ერთი სასერტიფიკაციო გამოცდით გადაწყდეს, რაც უნდა იდეალურად მოვამზადოთ და რაც უნდა კარგი ექსპერტები ჩავრთოთ. მასწავლებლობა ყველაზე მომხიბლავი, მნიშვნელოვანი და დასაფასებელი პროფესიაა, ამავდროულად, იმდენად რთული, რომ შეიძლება თეორიული ცოდნით იყო აღჭურვილი, მაგრამ პრაქტიკაში სულ სხვა რამ მოხდეს. ამ შემთხვევაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ გამოცდილებას. ძალიან ბევრი შესანიშნავი პრაქტიკოსი მასწავლებელი გვყავს, რომელიც ამ თეორიებს კი არ იცნობს და არ იცის მათი დასახელება, მაგრამ, თავისდაუნებურად, ყოველდღე იყენებს კლასში. მაგრამ, თუ მაინც და მაინც სასერტიფიკაციო გამოცდაზე გინდა გადაწყვიტო მასწავლებლის ბედი, რაც არასწორია, იგი, როგორც პროფესიონალი, მრავალი პარამეტრით უნდა შეაფასო: გარკვეული ხნის განმავლობაში როგორ ატარებს გაკვეთილებს, როგორ აწარმოებს პორტფოლიოებს, როგორ შეუძლია კლასის მართვა და ა.შ. ერთი კონკრეტული გამოცდით ამის მიღწევა ნაკლებად შესაძლებელია. თუ ვფიქრობთ, რომ სასერტიფიკაციო გამოცდას ვინც გადალახავს, არის მასწავლებელი და, ვინც ვერ გადალახავს – არა, მაშინ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მასწავლებლებს ხელი შევუწყოთ და მოვამზადოთ, პირველ რიგში, მაქსიმალურად მივაწოდოთ ადეკვატური ლიტერატურა. ჩემი აზრით, არსად არ გვეჩქარება, ჯერ დავეხმაროთ და მერე, მასწავლებლებთან ერთად, მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ ჩვენც და მასწავლებლებიც მზად ვართ და დავნიშნოთ გამოცდა. მიზანი ხომ მასწავლებლის სკოლიდან გაშვება არ არის, არამედ – მისი კვალიფიკაციის ამაღლება. მოსამზადებელი ეტაპი ყველაზე მნიშვნელოვანია.

კიდევ ერთ სიახლეზე მინდა ვისაუბრო, რომელიც გამოცდების ეროვნულ ცენტრს აქვს დაგეგმილი. ჯერ არ ვიცით, ამ პროგრამას რას დავარქმევთ, მაგრამ შინაარსი ნამდვილად სკოლების და მასწავლებლების მხარდაჭერა იქნება. გვინდა, ყველა სკოლასთან პირდაპირი ურთიერთობა გვქონდეს. გვინდა ჩავწეროთ CD-ები ზოგად უნარებთან დაკავშირებით (მუშაობა დაწყებული გვაქვს), დაახლოებით ერთსაათიანი იქნება. XI-XII კლასების მოსწავლეებს და მასწავლებლებს პირველი პირისგან შეეძლებათ მიიღონ კონკრეტული ინფორმაცია ტესტურ დავალებებზე, მათ გარჩევაზე, როგორ უნდა გასცენ სწორი პასუხი, რატომ არის ეს პასუხი სწორი ან არასწორი, რას უნდა მიაქციონ ყურადღება, ანუ კონკრეტული ტესტური დავალებების დეტალური რეკომენდაციები. როგორც კი ეს ვიზუალური მასალა მომზადდება, მაშინვე დავურიგებთ ყველა სკოლას. სამწუხაროდ, ზოგად უნარებთან დაკავშირებით სრულიად ანომალური ვითარება მივიღეთ – ყველაზე ძვირადღირებული და მოთხოვნადი რეპეტიტორი ზოგად უნარებშია. ჩვენ ვაცხადებთ, რომ არ შეიძლება ზოგად უნარებში მომზადება, უნარებს ვერ ასწავლი, უნარ-ჩვევები დროთა განმავლობაში ვითარდება. შეიძლება, უბრალოდ, გაავარჯიშო და ანალოგიური ტესტური დავალებები რამდენჯერმე ამოახსნევინო. ერთი წლის განმავლობაში ზოგად უნარებში მომზადება ნონსენსია. ძალიან ბევრი შემთხვევა გვაქვს ისეთი, როდესაც თვალცრემლიანი მოდის მშობელი და გვეუბნება, ჩემი შვილი ვერ ჩაირიცხა, არადა ამდენი ფული გადავიხადე რეპეტიტორებში, შესაძლებლობა აღარ მაქვს წელსაც მოვამზადო. შეკითხვაზე, რამდენი ქულა დააგროვა, გვპასუხობს – 20. რეპეტიტორმა ძალიან უნდა მოინდომოს და დაუმახინჯოს მოსწავლეს უნარები, 20 ქულა რომ მიაღებინოს. ვუხსნიდი, საერთოდ რომ არ გაგეკარებინათ რეპეტიტორი, აეღო ჩვენი კრებული და, უბრალოდ, რამდენი დავალებაც არის, შეესრულებინა მხოლოდ იმისთვის, რომ გამოცდაზე ტესტი სრულიად ახალი ფორმატი არ ყოფილიყო მისთვის, 2-3-ჯერ უკეთესი შედეგი ექნებოდა. უნარებს ვერავინ ვერ ასწავლის, ამისთვის ფულის და დროის ხარჯვა ფუჭია. ძალიან მინდა, რომ მშობლებმა იცოდნენ, უკვე სკოლა იქნება ის ადგილი, სადაც, პირველ რიგში, იქნება მიწოდებული უახლესი ინფორმაცია და მოსწავლეები იმათგან მიიღებენ რეკომენდაციებს და სავარჯიშოებს, ვინც ტესტური დავალებების შედგენაზე მუშაობს. ეს იქნება ყველა დავალების დეტალური გარჩევა. ეს ჩანაწერები სკოლებში უფასოდ დარიგდება.

– წლევანდელ აბიტურიენტებს თუ მიეცემათ ამის შესაძლებლობა?

– ნოემბერში ვგეგმავთ უნარების ჩანაწერების დარიგებას, მერე უკვე საგნობრივი რეკომენდაციებიც მომზადდება. მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში საუკეთესო ნაშრომები იქნება განხილული. ეს იქნება სასწავლო-სავარჯიშო ინტერაქტიური ვიზუალური მასალა, რომელსაც მასწავლებლებიც გამოიყენებენ.

ძალიან მინდა, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის ინიციატივა იყოს – მაქსიმალური ხელშეწყობა სკოლებს. უნდა დასრულდეს რეპეტიტორობა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ინტენსიურად ვმუშაობთ ამ პროგრამაზე და პრეზენტაციაც მალე გვექნება. ჩვენი ძირითადი მიზანი არის სკოლებთან მჭიდრო თანამშრომლობა – დავეხმაროთ იმ თვალსაზრისით, რომ მათ მოახერხონ მოსწავლეების მომზადება უმაღლესი სასწავლებლისთვის. განსაკუთრებით ეს XII კლასს ეხება და, პირველ რიგში, ვიზუალურ მასალას ზოგადი უნარებისთვის ვაკეთებთ, შემდეგ, როგორც გითხარით, სხვა საგნობრივი ტესტებიც მიჰყვება.

სხვათა შორის, ეს იდეა გამიჩნდა სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით. უბრალოდ, ჯერ გადავაადგილეთ და აბიტურიენტებისთვის მოვამზადეთ უნარები, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობას აუცილებლად გავაგრძელებთ და ანალოგიურ მასალას მოვამზადებთ სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის – ვთქვათ ჯგუფი, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტს ამზადებს, დეტალურად გაარჩევს ყველა დავალებას (ნიმუშს). ანალოგიურად იმუშავებს პროფესიული უნარების ჯგუფი – ახსნა-განმარტება, როგორი ტიპის დავალებები იქნება, რატომ ასეთი ტიპის და არა სხვაგვარი და ა.შ. ვფიქრობ, ეს პროგრამა კარგად იმუშავებს. კიდევ ვიმეორებ, გადავწყვიტეთ, ძალიან მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ სკოლებთან და მაქსიმალურად შევუწყოთ მათ ხელი.

– რას გვეტყვით სკოლებში უნარების სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით?

– მინისტრს ჰქონდა იდეა, რომ კურიკულუმში უნარები გაგვეთვალისწინებინა. გათვალისწინება სხვა არის და საგნად შემოღება – სულ სხვა. მოდით, შევთანხმდეთ – უნარებს ვერ ასწავლი, შეიძლება განავითარო, გაავარჯიშო, მაგრამ ესეც ისე უნდა გააკეთო, რომ კი არ დაამახინჯო, არამედ ხელი შეუწყო.

ძალიან კარგი იდეაა, სერიოზულად უნდა ვიფიქროთ და განვახორციელოთ. ამას გარკვეული ფორმით სასწავლო გეგმაშიც სჭირდება გათვალისწინება. შეიძლება მხოლოდ მეთორმეტე კლასიდან კი არ დავიწყოთ, არამედ – წინა კლასებიდან. იდეა დამუშავების პროცესშია და აუცილებლად მოვიფიქრებთ, თუ როგორ შეიძლება ამის გათვალისწინება, ოღონდ არა საგნად და არა იმგვარად, რომ ამაში ნიშანი დაიწეროს. სხვა ფორმაა მოსაფიქრებელი. სანამ ეს ყველაფერი დადგინდება, ყველა გზა უნდა აიწონ-დაიწონოს, რომ მომავალში შეცდომებისგან დაცული ვიყოთ და უკან სავალალოდ არ მოგვიბრუნდეს. ვიზუალური მასალის მომზადების გადაწყვეტილება სწორედ იმიტომ მივიღეთ ფორსირებულად, რომ ვიდრე ეს გაირკვევა, სკოლებს კვალიფიციური რეკომენდაციები მივაწოდოთ უშუალოდ იმ ადამიანებისგან, ვინც ტესტური დავალებების შედგენაზე მუშაობენ.

ზოგადი უნარები სასწავლო გეგმაში აუცილებლად უნდა შევიდეს, მაგრამ იმის გარანტიაც უნდა გვქონდეს, რომ ყველა სკოლაში მოიძებნება კვალიფიციური ადამიანი, რომელიც ამ ნაწილს წარუძღვება. თუ ამის გარანტია არ გვექნა, შეიძლება ცუდი შედეგი მივიღოთ. ისევ გავიხსენებ იმ შემთხვევას, როდესაც მშობელმა მთელი წელი რეპეტიტორთან ატარა შვილი და შედეგად 20 ქულა მიიღო. ასე რომ, კარგად დაფიქრება გვმართებს.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

ყურადღება!

ხუთი-შვიდი წლის ბავშვებისთვის იხსნება გერმანული ენის კურსი „შინ Frau-სთან.“

პედაგოგი: **ხათუნა კოპალეიშვილი.**

პროგრამა: ზეპირმეტყველება, მათ შორის საბავშვო ლექსები, სიმღერები, გამოცანები, თამაშები და ა. შ (ე. წ. Tante-ს მეთოდით).

გაკვეთილი ტარდება კვირაში ოთხჯერ

მისამართი: აღმაშენებლის გამზ. 176 (გერმანიის საელჩოს გვერდით).

მეცადინეობის ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.

დაინტერესებულ მშობლებს გთხოვთ დარეკოთ: 899 51 18 18

განცხადება

დუშეთის რაიონის მაღალმთიან სოფელ შატილის სკოლა-პანსიონს ესაჭიროება ინგლისური ენის მასწავლებელი. მინიმალური ხელფასია 550 ლარი. მასწავლებელი სკოლაში არსებულ პანსიონში უზრუნველყოფილი იქნება ბინით, კვებით, გათბობით. საკუთარი ჰესის წყალობით, სოფელს აქვს მუდმივი ელექტროენერგია. ნოემბრიდან მაისამდე, დიდთოვლობის გამო, დათვიჯვრის უღელტეხილი იკეტება, თუმცა, სავარაუდოდ, წლეულს, თვეში ერთხელ, ვერტმფრენი იფრენს. მასწავლებლები მისი მომსახურებით უფასოდ ისარგებლებენ. სოფელში მობილური ტელეფონი არ იჭერს, მაგრამ სკოლაში არის ინტერნეტი და მასწავლებლებს ოჯახთან დაკავშირების შესაძლებლობა ექნებათ.

მსურველები გამოგვეხმაურონ ნომერზე 899 957-454

კერძო სკოლა

სკოლა-გიმნაზია „პირველი“

წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო, – ჭკვიან კაცს ასე უთქვამს და თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩის 33 ნომერში მდებარე სკოლის პედკოლექტივმაც წელი მაშინ დააჯამა, როცა მისაღები გამოცდების შედეგები გამოქვეყნდა... 32 აბიტურიენტიდან 32 სტუდენტი მიიღო.

სკოლა-გიმნაზია „პირველი“, რომელიც შარშან „ჰუმანიტარული ტექნიკური უნივერსიტეტის“ ზ/ს სკოლა-გიმნაზიის სახელით იყო ცნობილი, სულ რაღაც ორი წლის წინ ჩამოყალიბდა, მაგრამ ბევრი რამ მოასწრო: ნათლობაც იზეიმა და ახალმოსახლეობაც (გოგებაშვილის 26-დან პეტრიაშვილის 33-ში გადავიდა გაფართოების მიზნით).

„პირველი“ თანდათან იკვლევს გზას მწვერვალებისკენ. დღესდღეობით აქ 150-მდე მოსწავლე სწავლობს (მიღება გრძელდება) და 33 პედაგოგი ასწავლის. სკოლაში ფუნქციონირებს 12 კლასი. აქვთ ბიბლიოთეკა, ჩამოყალიბებულია სიმღერის, ცეკვის, გიტარის, ჭადრაკის წრეები, ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. გვაქვს გახანგრძლივებულის სწავლება პირველიდან მეხუთეკლასელთათვის, ორჯერადი კვებით. გაძლიერებით ისწავლება ინგლისური – პირველი, რუსული – მეორე და ესპანური მეექვსე კლასიდან.

სკოლას ემსახურება 4 მსუბუქი მანქანა და სამარშრუტო ტაქსი.

სწავლა 14 სექტემბერს დაიწყო. პირველი ზარი განსაკუთრებით თბილი და მხიარული იყო, ბავშვებიც, მასწავლებლებლებიც ზრუნვითა და სიყვარულით გათამამებულნი ადვილად შეეჩვივნენ სკოლის კედლებს და სასწავლო საქმიანობაც წარმატებით დაიწყეს.

ყოველ დილით, 9 საათიდან, ბავშვების ჟრიამული თანდათან მატულობს და დროებით მარტო დარჩენილ შენობას კვლავ ხალისიან განწყობას უბრუნებს. მზრუნველი ხმები კიბიდან კიბეზე აირბენს და მთელი შენობა დადებითი ემოციებით იმუხტება. აქ ყველას ერთმანეთი უყვარს... ყველა ერთი იდეით ცხოვრობს ინდივიდუალურ სამყაროში, რომელში შესვლაც რთული არაა. ნდობისა და სიყვარულის ფაქტორი დიდია, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

ყოველივე ამის გარანტი კი, სკოლის დირექტორი ქალბატონი **ნინო ოქროჯანაშვილი** გახლავთ, რომელმაც პედაგოგიური მუშაობის საკმაოდ დიდი ხნის გამოცდილების დაგროვების შემდეგ, დამოუკიდებლობის ჯანსაღი ამბიციის კარნახით, თავის მეგობრებთან ერთად ჩაუყარა საფუძველი სკოლა-გიმნაზია „პირველს“.

ქალბატონ ნინოსთან ერთად სკოლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში დიდი წვლილი მიუძღვის პედაგოგიურ კოლექტივს, რომელიც რჩეული და მაღალკვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული, სპეციალურად მეთორმეტეკლასელთათვის მოწვეულნი არიან პედაგოგები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან.

სკოლა სწავლას და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ჰარმონიულად უთავსებს ერთმანეთს. თანამშრომლობს ტურისტულ სააგენტო „კავკაზ თრეველთან“, რომლის დახმარებითაც განხორციელდა პირველი გასვლა ტაო-კლარჯეთში, ეგვიპტეში. ამავე ტურით, შემოდგომაზე, იგეგმება გასვლა საინგილოს ქართულ სკოლებში.

ჩვენი სკოლა თანამშრომლობს ტურისტულ სააგენტო ამადეუსთან, რომელიც ემსახურება გაცვლით-სასწავლო პროგრამებს „high school“-ის მოსწავლეებისთვის ინგლისში, ესპანეთსა და ნორვეგიაში.

გასულ, 2008-2009 სასწავლო წელს ვესტუმრეთ ფშავის სოფელ მაღაროსკარის საჯარო სკოლას და დავესწარით მათ კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ საღამოს.

მოსწავლეთა კულტურული დონის ამაღლების მიზნით კი ხშირია კოლექტიური დასწრება მოზარდ მაყურებელთა და აკადემიურ თეატრებში.

ქალბატონ ნინოს, პედაგოგებს დიდი გეგმები აქვთ სამომავლოდ. უკვე გადაწყვეტილია, რომ სემესტრების მიხედვით გაიმართება რეიტინგული შეჯიბრი და გამოვლინდება თითო გამარჯვებული მოსწავლე (კლასების მიხედვით), რომლებიც მიიღებენ წამახალისებელ საჩუქრებს.

მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლამ მოაწყო გასვლითი ღია გაკვეთილი ოკუპაციის მუზეუმში და აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალთან.

„მართალია, სკოლა-გიმნაზია „პირველი“ ასაკით ჯერ ძალიან პატარაა, მაგრამ წინ დიდი მიზნები და გეგმები გვაქვს, – აცხადებს სკოლის დირექტორი პედაგოგთა საბჭოზე დაყრდნობით, – *ეს დიდი ოჯახია, სადაც სიყვარულის ცეცხლი დაგვინთია და განათლებისთვის გასაქანი მიგვიცია.“*

სამეცნიერო კონფერენცია ურეკში

2-4 ოქტომბერს, დაბა ურეკის სამი სასტუმრო: „მეგობრობა“ (დირექტორი **ემზარ გაგნიძე**); „ოკრიბა“ (**ზურაბ ცნობილაძე, ლალი კვანტიძე**) და „თბილისი“ (**ციცინო ფუტკარაძე**) საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას „ურეკი – 2009“ მასპინძლობდა.

არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაცია – მეცნიერება და ბიზნესი (პრეზიდენტი **ნოდარ კომახიძე**) სერიოზულად დაინტერესდა ურეკის, როგორც უნიკალური თვისებების მქონე კურორტის დღევანდელი მდგომარეობით. ბოლო ათწლეულში აქ სწრაფი ტემპით ვითარდება კერძო სექტორი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყურადღების მიღმა დარჩა მთავარი, რითაც მიმზიდველი იყო ურეკი. განსაკუთრებულად სასიკეთო ბუნებრივი კლიმატური პირობები და მაგნეტიტური ქვიშა აქ ისე ერწყმიან ერთმანეთს, რომ სხვადასხვა სახის დაავადებათა განკურნებისთვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებადაც ითვლება, განსაკუთრებით ბავშვებში. ეს ჯერ კიდევ 100 წლის წინ იყო ცნობილი. როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, თავის დროზე, არაერთი მეცნიერული გამოკვლევა მიეძღვნა ამ საკითხს, სადაც დადასტურებულია ურეკის მაგნეტიტური ქვიშის უნიკალური სამკურნალო თვისებები, რასაც მოჰყვა კიდეც შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება. როცა 1971 წელს ურეკი ოფიციალურად გამოცხადდა კურორტად, აქ უკვე შექმნილი იყო შესაბამისი პირობები მკურნალობისა და დასვენებისათვის, სანატორიუმებში კვალიფიციური ექიმები ემსახურებოდნენ დამსვენებლებს, ფუნქციონირებდა ტექნიკური ბაზა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიხურა სანატორიუმები, ნაწილობრივ განადგურდა ინფრასტრუქტურა. ერთი სიტყვით, დღეისათვის ურეკში დასასვენებლად საჭირო პირობები კი არის, მაგრამ სამკურნალო – არა, კურორტი, ფაქტობრივად, ვეღარ ასრულებს თავის უმთავრეს ფუნქციას. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე მეცნიერთა და ბიზნესმენთა მთავარი ამოცანა სწორედ ის იყო, შეეხსენებინა საზოგადოებისთვის ურეკის მნიშვნელობის შესახებ. პროფესორებმა: **მანანა ტაბიძემ, ნანა გულუამ, ნინო ჭაბუკიანმა, მამუკა მჟავანაძემ, რუსუდან კვანჭახიძემ** და სხვებმა ისაუბრეს იმ დაავადებათა შესახებ, რომელთა განკურნებაში ურეკის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ეს არის გულსისხლძარღვთა და მოძრაობის ორგანოების დაავადებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაცია, ცერებრალური დამბლა, ბავშვთა ასაკში ოსტეოპოროზის მქონე პირთა მკურნალობა და სხვ.

მეცნიერებმა და ბიზნესის წარმომადგენლებმა კურორტის განვითარების პერსპექტივებზეც იმსჯელეს და მიიღეს მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, სადაც ითხოვენ, რომ ურეკის ბავშვთა კურორტად აღდგენის მიზნით შემუშავდეს მისი მომავალი განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

„ეს ჩვენი ორგანიზაციის მიერ გადადგმული მხოლოდ პირველი ნაბიჯია,– ამბობს ბატონი ნოდარ კომახიძე – *ჩვენი ინტერესის სფერო გაცილებით მრავალფეროვანია. ეს არის არამარტო კურორტი და არა მარტო ურეკი. სლოგანიც ასეთი გვაქვს – კავშირი მეცნიერებასა და ბიზნესს შორის სამშობლოს კეთილდღეობისათვის!*

ჩვენ შევეცადეთ, რაც შეიძლება წარმომადგენლობითი ყოფილიყო პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თუმცა სავსებით შესაძლებელია არსებობდეს სხვა ორგანიზაციაც (ან კერძო პირები – როგორც ბიზნესმენები, ისე მეცნიერები), რომლისთვისაც ეს თემატიკა საინტერესო იქნება. ჩვენ მათ დიდი სიამოვნებით მოვუსმენთ. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 92-27-01, 899 39-49-60. ერთად შევეჭიდოთ პრობლემებს, რომელთა დროულ გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალი“.

მათე ჯოხაძე

60 წელი სკოლაში

თბილისის 57-ე საჯარო სკოლის თანამშრომლებმა (დირექტორი **იოსებ ხუციშვილი**), გაცილება მოუწყვეს ღვაწლმოსილ ისტორიის მასწავლებელს, ბატონ **რეზო სურგულაძეს**.

ბატონმა იოსებ ხუციშვილმა, როგორც ისტორიკოსმა პროფესიულად წარმოაჩინა ბატონი რეზოს ღვაწლი სკოლაში; ისაუბრა მის როლზე ისტორიის მეცნიერებით ახალგაზრდების დაინტერესებაში. აღნიშნა, რომ მან აღზარდა არა მარტო ისტორიის მასწავლებლები, არამედ მეცნიერებიც. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრას, სადაც მისი სიტყვა ყოველთვის ანგარიშგასაწევი იყო.

განათლების სისტემაში ბატონი რეზო 1950 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოვიდა. ჯერ 55-ე საშუალო სკოლაში მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად. შემდეგ 123-ე, 57-ე, 101-ე სკოლებში დირექტორად. იყო ორჯონიკიძის (ვაკის) რაიონის განათლების განყოფილების გამგე. ამ პერიოდის შემდეგ ისევ 57-ე სკოლას დაუბრუნდა. სათავეში ჩაუდგა ისტორიის კათედრას, ხელი შეუწყო ისტორიის განმავითარებელი – ინტეგრირებული სწავლების დანერგვას. უძღვებოდა მეთოდურ საქმიანობას, სისტემატურად აანალიზებდა დამწყები მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. ისტორიის მასწავლებლის, ეთერ ქუთათელაძის თქმით, საინტერესო იყო მისი ხედვა, როგორც სიღრმისეულად, ასევე სივრცულად.

ბატონი რეზოს ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ სარბიელი კაცმა მანამ უნდა დატოვოს, სანამ უყვართ და პატივს სცემენ. მაგრამ ღვაწლმოსილ მასწავლებელს სარბიელი არ დაუტოვებია – რეზო სურგულაძეს სკოლაში კონსულტატად მოღვაწეობის გაგრძელება შესთავაზეს. დღეიდან იგი ამ რანგში გააგრძელებს საყვარელ საქმიანობას.

ირმა მუსერიძე

მწვავე თემა

ყველაზე სერიოზულ დამნაშავეშიც კი არის რესურსი, რომელიც არავინ გამოიყენა

მოზარდთა შორის დანაშაული საქართველოში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. სასწავლო წლის დაწყებიდან, სულ რაღაც ერთ თვეში, ჯერ 55-ე საჯარო სკოლის X კლასელმა გოგონამ „ლონდონის ბალში“ დანით დაჭრა თანატოლი, ხოლო რამდენიმე დღეში 51-ე სკოლის X-კლასელმა მოზარდმა, ასევე დანით, სასიკვდილოდ გაიმეტა თავისივე სკოლელი.

ჩვენი გაზეთი, ვრცელი წერილით, მაშინვე გამოეხმაურა პირველ ინციდენტს და ეს ინტერვიუც გამოცდების ეროვნული ცენტრის ფსიქოლოგთან, თამარ გაგოშიძესთან, მაშინ ჩავწერეთ. უბრალოდ, სიდიდის გამო წერილი მომდევნო ნომრისთვის გადავდეთ. სწორედ ამ ერთ კვირაში მოხდა მეორე დანაშაულიც.

არასრულწლოვანთა შორის აგრესიას ბევრი გამომწვევი მიზეზი აქვს. ამის თაობაზე კვალიფიციურ აზრს ფსიქოლოგისგან მოისმენთ. ჩვენ გვინდა თქვენი ყურადღება, ორივე შემთხვევაში, უფროსების როლზე გავამახვილოთ. შემთხვევით არ შეგვირჩევია 8-14 ოქტომბერს გამოქვეყნებული ერილისთვის სათაურად „გულგრილობის ანარეკლი“. 51-ე სკოლაში მომხდარიც ხომ ფორმალობის, გულგრილობის შედეგიცაა (რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არ არის მიზეზი). როცა სკოლაში ასე ძვირადღირებული ვიდეოთვალია დამონტაჟებული, როცა სკოლის კართან ასე ძვირადანაზღაურებადი დაცვა დგას და დანაშაული მაინც ხდება, ხომ ფაქტია, რომ პრევენციის არც ერთი და არც მეორე საშუალება სრულყოფილად არ მუშაობს. მოზარდმა, რომელმაც სკოლიდან გაპარვა გადაწყვიტა, იცის, რომ კარიდან ვერ გავა, რადგან იქ დაცვა დგას, ამიტომ ფანჯრიდან გადახტა. ვინმეს რომ ამ დროს ვიდეოკამერებისთვის თვალი ედევნებინა, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, იმ მომენტში ხომ ვერ მოახერხებდა სკოლიდან გასვლას, შესაბამისად, არც დანაშაული მოხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც. მერე კი, ალბათ, საერთოდაც შესაძლებელი იქნებოდა ინციდენტის თავიდან აცილება.

ჩნდება კითხვა: ვინ არის დამნაშავე – სკოლა, ოჯახი თუ საზოგადოება? ვფიქრობთ, ქალბატონი თამარის მოსაზრებები საგულისხმო და გასათვალისწინებელი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც მოზარდი თაობის აღზრდის მძიმე ტვირთს ატარებს.

– ქალბატონო თამარ, რამ გამოიწვია მოზარდთა შორის ძალადობის ფაქტების ასეთი ზრდა, რა არის ძალადობის საწყისი მიზეზი?

– ბუნებრივია, ერთ კონკრეტულ მიზეზზე საუბარი შეუძლებელია. ძალადობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს მრავალი. ზოგადად, დასავლური კვლევები გვეუბნებიან, რომ გოგონებში გაიზარდა აგრესიის ხარისხი. ამის მიზეზს იკვლევენ ყველგან, ჯერჯერობით, საკითხის გარშემო ბევრი ვარაუდი არსებობს. რას შეიძლება ეს გამოეწვია? ამ საკითხს გლობალურად რომ შევხედოთ, რამდენიმე კომპონენტია: საზოგადოება, ოჯახი – მიკროსოციალური და მაკროსოციალური გარემო, რომელშიც ბავშვი იზრდება. დაბადების დღიდან, ბავშვი კომუნიკაციური ბომბარდირების ქვეშაა, ანუ ტელევიზორი მთელი დღე ჩართულია და კაცმა არ იცის, იქიდან რა მოდის. შეიძლება ბავშვი კარგ გადაცემებსაც უყურებდეს, მაგრამ ელემენტარული ვიზუალური და სმენითი მუდმივი სტიმულაცია უკვე აღაგზნებს ნერვულ სისტემას. ამას ჰქვია ინფორმაციული ნევროზი. ერთმანეთთან დაუკავშირებელი დიდი რაოდენობის სხვადასხვა სახის ინფორმაცია მუდმივი სტიმულაციაა.

ყურადღება მინდა გავამახვილო შემდეგ ასპექტზე: ჭარბი სტიმულაცია ცუდად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ამიტომ ვეუბნებით მშობლებს, ნუ აყურებინებთ ბავშვებს ტელევიზორს, ნუ ტოვებთ ბავშვებს კომპიუტერთან. მშობელს უხარია, როცა ბავშვი ჩუმადაა, არ აწუხებს.

21-ე საუკუნეში ჩვენ ჰიპერსტიმულაციის საზოგადოება ვართ. ეს ეხება დასავლეთსაც და ახლა უკვე ჩვენც. იბომბება ადამიანის თავის ტვინი, შესაბამისად, ეს დაბომბვა განსაკუთრებით სერიოზულად მოზარდების ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. ნერვული სისტემა მძიმედ რეაგირებს ჭარბ, მაღალი ინტენსივობის, ერთდროულად სხვადასხვა გრძნობის ორგანოზე მოქმედ სტიმულაციაზე. შესაბამისად, ნერვული სისტემა ასეთ დატვირთვას ვერ იტანს, განსაკუთრებით მზარდი ჩამოყალიბების პროცესში გარდატეხის პერიოდამდე. გარდატეხის პერიოდს თავისი პრობლემები აქვს. ჰორმონალური ცვლის დროს, ბუნებრივია, მატულობს აგრესია, გაღიზიანება. ეს არის როგორც ფიზიოლოგიური ცვლილებების პერიოდი, ასევე – ფსიქოლოგიური. ამ დროს ხდება მე-ს დამკვიდრება, დამოუკიდებლობის მოზომვა, ბავშვს შემეცნებითი ხასიათის ბევრი კითხვა ებადება: სამყაროს რაობის შესახებ, საკუთარი თავის შესახებ, ანუ მოზარდი უკვე ისეთი რაღაცეების გარკვევას ცდილობს, რაზეც მანამდე არ უფიქრია.

მოზარდთა აგრესია შეიძლება გამოწვეული იყოს, ერთი მხრივ, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლილებების ფონზე და მეორე – რა სიტუაციაში იზრდება ბავშვი, რას ხედავს სახლში, გარეთ, სკოლაში, საბავშვო ბაღში – ძალადობას. შეიძლება არ მოგეწონოთ ჩემი ინტერპრეტაცია, მაგრამ რეალურად ჩვენ ყველა ერთმანეთზე ვძალადობთ. მშობელი ძალადობს შვილზე, იმიტომ რომ მას არჩევანის საშუალებას არ უტოვებს, მაგალითად, პატარა ბავშვმა უნდა ჩაიცვას ის, რაც მშობელს სურს. ბავშვს უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება, კვერცხს შეჭამს თუ ფაფას, ლურჯ შარვალს ჩაიცვამს თუ შავს. ამას შეზღუდული არჩევანის პრინციპი ეწოდება, რადგანაც ზოგადად „რაც გინდა აირჩიე“ ბავშვისათვის ყველაფრის უფლების მიცემას ნიშნავს, რაც არაა სასურველი. პატარას ძალიან უკვირს როცა სთავაზობ, ჯერ რას ითამაშებ – ბურთს თუ მოზაიკას? გაოცებულია, არ იცის, რომელი აირჩიოს, მას ასე არ ზრდიან. როცა არ გაქვს არჩევანი მცირეწლოვანი ასაკიდან, არც პასუხისმგებლობა გაქვს შენს ქცევაზე. ნახეთ, რა ხდება? მე თუ არჩევანი არა მაქვს და ვაკეთებ იმას, რასაც ჩამძახებთ, პასუხს ჩემს ქცევაზე არ ვაგებ. შესაბამისად, რაღაც შეიძლება დავაშავო და ჩემ მიერ ჩადენილი არასწორი ქცევა ვერც კი აღვიქვა, როგორც არასწორი.

„ლონდონის ბაღში“ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთში წავიკითხე, ბრალდებული გოგონა არ ფიქრობს, რომ ცუდი საქციელი ჩაიდინა, რა თქმა უნდა, არ იფიქრებს... იმიტომ, რომ მას უკუკავშირი არ აქვს. რა არის აღზრდა? აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, უკუკავშირია, რაც ბავშვს უნდა ჰქონდეს მისთვის ავტორიტეტული უფროსებისგან, ამ შემთხვევაში მშობლებისაგან და მასწავლებლებისაგან.

ერთია, რომ გარემო ძალადობს პიროვნებაზე, მსგავსი სიტუაციაა ოჯახში. ოჯახის წევრებიც ერთმანეთზე ძალადობენ, ძალადობა მხოლოდ ჩხუბი და ცემა არ არის. ძალადობა ფართო გაგებით უნდა გავიგოთ. ჩემი აზრი უნდა გავიტანო და ჩემი ნება უნდა მოგახვიო თავზე – ეს არის ძალადობის ფორმა. კონსესუსი ჩვენს საზოგადოებასაც აკლია და ოჯახსაც. საქართველოში შეთანხმება საზოგადოების წევრებს შორის პრობლემაა, ასევეა ოჯახშიც.

ჩვენ არ ვმსჯელობთ იმაზე, რა არის ჩვენი გამაერთიანებელი, როგორ ვითანამშრომლოთ, როგორ ვიურთიერთოთ ერთმანეთთან იმისთვის, რომ საქმე ვაკეთოთ, საერთო მიზანს მივაღწიოთ. ჩვენ ერთმანეთის კონკურენტები ვართ ოჯახშიც, სამსახურშიც, ქუჩაშიც. ბავშვი იზრდება მიბაძვით – უფროსის მოდელირებით სწავლობს. დღეს რასაც სახლში ხედავს, იმას ხედავს გარეთაც.

რას ასწავლის დღევანდელი მშობელი ბავშვს? ხშირად მომისმენია პარკში, ქუჩაში – რა არის ბიჭო, დებილი ხარ, ვერ გაარტყამ?! დაგარტყამს – დაარტყი. სათამაშოს წაგართმევს, უკან წაართვი. რასაკვირველია, ადამიანს უნდა შეეძლოს თავდაცვა, მაგრამ არა ამ ფორმით.

მეორე კომპონენტი – როგორია ოჯახში უფროსების ურთიერთობა? როგორია სოციალური კომუნიკაცია? – ძალადობრივი. მე ჩემი უნდა გავიტანო, თქვენ თქვენი უნდა გაიტანოთ. მის მოდელირებას კი აკეთებს ბავშვი. მთელი ჩვენი საზოგადოება აგებულია წაგება-მოგების პრინციპზე – ვინ ვის მოერევა. არავინ ფიქრობს, რომ შეიძლება იყოს ორმხრივი მოგებაც. ორმხრივი მოგების პრინციპითაც ხომ უნდა ვიურთიერთოთ? ეს არავის ახსოვს, მერე კი უკვირთ, 15 წლის მოზარდმა რატომ აიღო დანა და რატომ ჩაიდინა დანაშაული? ყველაზე მთავარი – ქცევის შედეგებზე ქართველ ბავშვებს პასუხისმგებლობას არ ასწავლიან და იცით, რატომ? იმიტომ, რომ საქართველოში აღზრდის სტილია ძალიან უცნაური. ამას პოლარულ სტილს ვეძახით. რას ნიშნავს? – ან ყველაფერი უნდა აუკრძალო ბავშვს და ჩაქოლო ბოლომდე, ან ყველაფრის უფლება უნდა მისცე. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ყველა სახელმძღვანელოში, ბავშვთა აღზრდის იქნება თუ განვითარების, შავით თეთრზე წერია – ეს ორივე სტილი არაადეკვატურია – დესპოტური სტილი და ყველაფრის უფლების მიმცემი სტილი – ორივე ფსიქოპათოლოგიურ პიროვნებას აყალიბებს. ადეკვატური სტილი კი არის ბავშვის მიუღებელ ქცევაზე შენიშვნა და მისაღები ქცევის წახალისება. თუ უფროსებმა არ ვიცით, ბავშვმა როგორ უნდა გაარჩიოს, რა არის კარგი და რა – ცუდი. ბავშვს ხომ უნდა ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა, თუ რას ვეძახით კარგ ან ცუდ ქცევას მიკროსოციუმში.

დღეს ცუდ ხასიათზე ხარ და დაარტყი, ხვალ – კარგ ხასიათზე ხარ და იმავე ქცევისთვის აკოცებ, როგორ გაიგოს ბავშვმა, მისგან რას ელი? ბავშვს არა აქვს უკუკავშირი საკუთარი ქცევის შედეგებზე. მაგალითად, სამი წლის ბავშვმა დაარტყა უფროსს – უფროსები იცინიან, შეიგინა –უფროსები იცინიან. როცა პატარა საკუთარ ქცევაზე ასეთ სასიხარულო რეაქციას ხედავს, შეწყვეტს? რა თქმა უნდა, გააგრძელებს ასე მოქცევას.

მაგალითი მეორე – მოზარდი თანატოლს ეჩხუბა, დაარტყა, წაართვა სათამაშო და ა.შ. მამამ მოუწონა – რა მაგარი ბიჭი ხარ, ყოჩაღ! ასეთი შეფასებით ბავშვი წახალისდება. მოგეხსენებათ, იყო საქართველოში დრო, როცა ქურდობა წახალისდებოდა, თუ ქურდი არ იყავი, კაცი არ იყავი. თუ ბრჭყალები არ გაქვს –კაცი არ ხარ, ასე იზრდება დღეს ქართველი ბავშვი. ამას ორი ასპექტი აქვს: ერთი –რას უყურებს ბავშვი, რის მოდელირებას ახდენს – ანუ უფროსებს ბაძავს სახლში, სკოლაში, ქუჩაში და მეორე – აღზრდის სტილი. სხვათა შორის, სკოლებშიც ქცევის მართვის სტილი აბსოლუტურად გაუგებარია. დასჯიდან გადავიდნენ ყველაფერის უფლების მიცემაზე, როგორ შეიძლება ბავშვს შენიშვნა მივცეთო. შენიშვნის მიცემა ზოგს ჩხუბი, წყევლა და გინება ჰგონია. შენიშვნის მიცემა ძალიან მშვიდი ტონით, მკაფიოდ, შეურაცხყოფის გარეშეც შეიძლება. ბავშვმა უნდა იცოდეს კონკრეტულ სიტუაციაში ქცევის წესები და ის შედეგი, რაც ამ წესების დარღვევას მოჰყვება.

სამწუხაროდ, უფროსებიც ყოველთვის ვცდილობთ, რაღაც მოვიფიქროთ, რომ წესი დავარღვიოთ. იმიტომ, რომ ეს წესი თანხმობის შედეგად არ არის მიღწეული და თავს მოხვეულია. მასწავლებელმა ქცევის წესები და ნორმები ბავშვებთან ერთად უნდა შეიმუშავოს. ბავშვმა უნდა იცოდეს, რაზე აგოს პასუხი. დარწმუნებული ვარ, 15 წლის მოზარდს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, დანაშაულის განცდა არ ექნება, რა

დასასრული მე-6 გვერდზე

მწვავე თემა

ყველაზე სერიოზულ დამნაშავეშიც კი არის რესურსი, რომელიც არავინ გამოიყენა

მე-5 გვერდიდან

თქმა უნდა, აღზრდიდან გამომდინარე.

გოგონა, რომელმაც ეს დანაშაული ჩაიდინა, მსხვერპლია, რა თქმა უნდა, ასევეა დაზარალებულიც. ასეთი ბავშვები ტრაგიკული ბავშვები არიან, რადგან მათი პიროვნების ჩამოყალიბებაზე არავინ ზრუნავს. როგორ ზრდის დღევანდელი მშობელი ბავშვს? – პრინციპით „არაფერი მოაკლდეს“. თუ ბავშვს მოუარე კარგად, ანუ აჭამე, ჩააცვი, არ მოაკელი არაფერი მატერიალური, ყველაფერი კარგად არის. ბავშვს მხოლოდ ეს არ სჭირდება. შეიძლება კარგად ვერ ჩააცვა, საუკეთესო დელიკატესები არ აჭამო, მაგრამ ყოველ საღამოს წიგნი წაუკითხო და ცხოვრების პრინციპებზე ესაუბრო. რა ხდება დღეს ქართულ ოჯახში? ოჯახმა თავისი სტრუქტურა შეიცვალა. ტოტალური უმუშევრობის ფონზე მთავარია სამუშაოს ძიება, ფიქრი იმაზე, თუ როგორ გაიტანო თავი. შესაბამისად, ქალები გააქტიურდნენ და მამაკაცები გაპასიურდნენ. არ ვიცი, ეს რამ გამოიწვია, მაგრამ ფაქტი სახეზეა – დედები უფრო აქტიურად მუშაობენ.

დედა გასულია სახლიდან, ბებიაც გასულია. ვინ არის სახლში? ხშირ შემთხვევაში – ძიძა, ზოგჯერ გაუგებარი განათლების, საუკეთესო შემთხვევაში, შესაბამისი ანაზღაურებით შერჩეული. ბავშვის აღზრდისთვის არავის სცალია. ბავშვი ტელევიზორშია „შემძვრალი“, არ სცივა, არ სწყურია, აცვია, საჩუქრებსაც უკეთებენ მშობლები, მაგრამ სად არის ურთიერთობა, სიყვარული, კომუნიკაცია, სითბო – ეს ხომ უნდა ისწავლოს ბავშვმა? საიდან? დედა მოვა სახლში დაღლილ-დაქანცული (წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი), მერე სადილი უნდა გააკეთოს, დაალაგოს და ა.შ. ყველა დედას ვეუბნები: სჯობს სადილი დაგრჩეს გაუკეთებელი და სახლი დაულაგებელი, ოღონდ სახლში მისულმა ბავშვთან იურთიერთე, თუნდაც 20 წუთი. მიდიხარ სახლში, ყველაფერი გინდა მოასწრო და გააკეთო, ბავშვს ეჩხუბები, – გაკვეთილები არ გისწავლია?... მკაცრი რიტორიკით ცდილობ ყურადღების გამოჩენას. ასეთია ზოგადი სურათი. ამ დროს, წარმოიდგინეთ ბავშვი, რომელიც მთელი დღე ელოდება დედ-მამის მოსვლას და იმის მაგივრად, რომ სითბო იგრძნოს, შეფასდეს მისი კარგი ქცევა, პირიქით, ეჩხუბებიან და მხოლოდ უარყოფით მხარეებს ხედავენ, რადგან დადებითი თითქოს ისედაც იგულისხმება.

რა ხდება სკოლაში? იქაც იგივე, ცუდი ქცევისთვის მოსწავლე ისჯება, კარგი ქცევისთვის არავინ აჯილდოებს. ასეთ დამოკიდებულებას იქამდე მივყავართ, რომ ბავშვი ვერ იგებს რა არის კარგი და რა – ცუდი. მას ხომ არავინ ასწავლა? არც ბებიამ, არც დედამ, არც მამამ, არც სკოლამ, არც მეზობელმა... ძალიან მძიმე სურათი დაგიხატეთ, მაგრამ – ეს რეალობაა.

საქართველოში გახშირდა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების რიცხვი. ბავშვს სხვებთან კომუნიკაცია არ შეუძლია, საერთოდ არ გამჩნევს, ვითომ არ ხარ. არ გეთამაშება, არ გიწვევს, არ გიზიარებს, არ გეურთიერთება, ანუ თავის თავშია ჩაკეტილი. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს მისი თავდაცვის რეაქციაა. ამდენი ჰიპერსტიმულაციისგან იცავს თავს. ჩემი კოლეგის, ფსიქოლოგ ქეთი მაყაშვილის აზრით, აუტისტური სპექტრის აშლილობის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი თანამედროვე ადამიანის კომუნიკაციის პრობლემაა. მისი აზრით, ამ ტიპის ადამიანების რიცხვი კიდევ უფრო მოიმატებს, რადგან თვითონ საზოგადოება ხდება აუტისტური – საკუთარ სიამოვნებაზე ორიენტირებული და თავის თავში ჩაკეტილი. აღარ ვურთიერთობთ ერთმანეთთან. ბავშვმა ხომ უნდა ისწავლოს ეს ურთიერთობა? საქართველოში ტრადიციული ოჯახი გვქონდა, ასევე გვქონდა ურთიერთობის უნარი, ერთობლივი მოქმედება, ერთობლივი გართობა, ჯგუფური ჩართულობა. დღეს შტატებსა და ევროპაში იმის დანერგვას ცდილობენ, რაც ქართველებმა დავკარგეთ.

საქართველოში აღზრდის სტილია ძალიან უცნაური. ამას პოლარულ სტილს ვეძახით. რას ნიშნავს? – ან ყველაფერი უნდა აუკრძალო ბავშვს და ჩაძოლო ბოლომდე, ან ყველაფრის უფლება უნდა მისცე

მსოფლიოში მოზარდებში აგრესიის ზრდა ისედაც შეიმჩნევა, მათი ასაკიდან გამომდინარე, ამას ემატება ის ფაქტორები, რომელიც დავასახელეს: ჰიპერსტიმულაცია; აღზრდის არაადეკვატური სტილი; მცირეწლოვან ბავშვებზე ძალადობა სკოლაში (ბავშვიც თავისი ნებით კი არ იქცევა კარგად, შენი ეშინია, გაიზრდება, აღარ შეეშინდება და მერე მოგერევა); სავსებით გაურკვეველი მოლოდინები ამ ბავშვების მიმართ (ბავშვმა არ იცის, რას მოელიან მისგან უფროსები, რა არის კარგი ქცევა და რა – ცუდი. მისთვის არ არსებობის ქცევის ეტალონი. ეს ხომ კონვენციური ნორმებია).

რამდენიმე ხნის წინ, მშობლებს გამოკითხვა ჩავუტარეთ. აღმოჩნდა, რომ უმეტესობას ვანდალიზმად არ მიაჩნია მისი შვილის მიერ დაჩხაპნილი საკლასო ოთახის კედლები და მერხები. როცა ბავშვი ქუჩას ანაგვიანებს, მისთვის ეს არ არის მიუღებელი ქცევა, რადგან მშობელიც იმავეს აკეთებს. საქართველოში ქუჩაში ნაგვის დაყრა რატომღაც არაფრად ითვლება, ისევე როგორც ვანდალიზმი. სწორედ აქედან იწყება ყველაფერი.

მთავარი პრობლემა მაინც უფროსებშია. თუ ჩვენ არ შევიცვლებით, ბავშვები არ შეიცვლებიან! სამწუხაროდ, ეჭვი მაქვს, უფროსები, როგორც მშობლები და მოქალაქეები, შეცვლას ვაპირებთ.

სამწუხაროდ, დღეს მასწავლებელმა დაკარგა ავტორიტეტი, მისი უფლებების შეზღუდვაც, მგონია, არასწორად იქნა გაგებული. მასწავლებელს ბავშვზე ძალადობისა და მისი დამცირების უფლება არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მისი აღზრდისა და პიროვნებად ჩამოყალიბების მიზნით, შენიშვნის მიცემის და თუნდაც დასჯის უფლება როგორ არ უნდა ჰქონდეს? თუმცა მასწავლებელმა ისიც უნდა იცოდეს, ეს რა ფორმით და როგორ უნდა გააკეთოს. დღეს გავრცელებული აზრით, რადგან ბავშვზე ძალადობა არ შეიძლება და მისი უფლებები უნდა დავიცვათ, ამიტომ მოსწავლეს ყველაფრის უფლება აქვს. ბავშვის უფლების დაცვა ყველაფრის უფლების მიცემას არ ნიშნავს. უფლების დაცვა ნიშნავს იმას, რომ ბავშვმა იცოდეს, რას მოელიან მისგან, თავად გააკეთოს არჩევანი სასურველ, მისაღებ ქცევასა და მიუღებელ ქცევას შორის და ზუსტად იცოდეს, რა მოყვება ამ არჩევანს უფროსების მხრიდან. უფროსების რეაგირება კი ბავშვის ქცევაზე მისი შეურაცხმყოფელი არ უნდა იყოს.

კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მიხედვით, სკოლაში ჩხრეკა აკრძალულია. სავალდებულო სულაც არ არის, გაჩხრიკო მოსწავლე და ნახო, მობილური აქვს თუ დანა. დანა, რომელიც ჯიბეში იმალება, ერთხელ მაინც აუცილებლად იქნება გამოყენებული. თუ შენ ამაზე თვალს დახუჭავ და სკოლაში შესაბამის ღონისძიებებს არ გაატარებ (საუბარი არ არის ძალადობრივ მექანიზმებზე), ანუ ბავშვებთან აღმზრდელობით ღონისძიებებს არ ჩაატარებ, შედეგს ვერ მიაღწევ. თუ სკოლაში არ გაქვს წესები, რომელსაც ყველა ერთნაირად იცავს (ის კი არა, რომ ვიღაც დირექტორის შვილია, ვიღაც – პარლამენტარის), ვერც ამ შემთხვევაში მიაღწევ შედეგს. წესი ყველამ თანაბრად უნდა დაიცვას. მინდა გითხრათ, რომ ბავშვები მსგავს შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად არიან დამნაშავეები და იცით, რატომ? მათ ერთი ძალიან კარგი თვისება აქვთ – სამართლიანობის განცდა, რომელიც უფროსებს აღარ გვაქვს. ყველა ბავშვმა იცის, რას ნიშნავს სიმართლე, კარგად ხვდება რა არის სიკეთე.

შეიძლება ვიღაცამ მითხრას, ამერიკაში ხომ უკეთესი სიტუაციაა და იქ რატომაა ამდენი დანაშაულიო. იმიტომ, რომ იქ სხვა სოციალური ვითარებაა. ზუსტად იმის გამო, რომ იქ ოჯახური ინსტიტუტები სხვანაირი იყო, ტრადიციული ინსტიტუტები არ არსებობდა, ახლა იქმნება. ჩვენთან არსებობდა ტრადიციული ოჯახი და დაინგრა. ამერიკა ახლა ცდილობს ტრადიციული ოჯახის შექმნას, ძალიან სერიოზული თანხები იხარჯება ამ პროპაგანდაზე. იმისთვის, რომ ოჯახი სრულფასოვანი იყოს, ამერიკაში სერიოზული ღონისძიებები ტარდება. სწორედ ოჯახია ის ადგილი, სადაც თავი უსაფრთხოდ შეგიძლია იგრძნო, ოჯახი დაგიჭერს მხარს ყოველთვის – ჭირშიც და ლხინშიც.

ორი კომპონენტი დაგვრჩა: რწმენა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ეთიკა. თუ რწმენა არა გაქვს, ეთიკა მაინც უნდა გქონდეს. თუ არც რწმენა გაქვს და არც ეთიკა, მაშინ რა ხარ? ცხოველი? ბარბაროსი ხარ? რწმენა ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ასევე ოჯახიდან უნდა მოდიოდეს და იმ ქვაკუთხედს წარმოადგენდეს, რაც კეთილისა და ბოროტის გარჩევაში ეხმარება ადამიანს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ეთიკაც, რაც ასევე გვაკლია ქცევაშიც და ურთიერთობებშიც.

თუ რწმენა არა გაქვს, ეთიკა მაინც უნდა გქონდეს. თუ არც რწმენა გაქვს და არც ეთიკა, მაშინ რა ხარ? ცხოველი? ბარბაროსი ხარ? რწმენა ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ასევე ოჯახიდან უნდა მოდიოდეს და იმ ქვაკუთხედს წარმოადგენდეს, რაც კეთილისა და ბოროტის გარჩევაში ეხმარება ადამიანს.

დაბოლოს, კომპიუტერმა და ვირტუალურმა სამყარომ ყველაფერი შეცვალა. რა ხდება ვირტუალურ სამყაროში? ტელევიზორის ყურების დროს ჩართული არ ხარ მოქმედებაში, უბრალოდ მაყურებელი ხარ, თანამონაწილეობ ემოციურად. ამიტომ შეიძლება განთავისუფლდე კიდეც შენი აგრესიისგან. მაგრამ, აბა, ერთი ჩაერთე ამ აგრესიულ თამაშებში, რა მოგივა? შენ ხარ ჩართული ადამიანების ხოცვაში და სამიზნეებად გყავს ხან ადამიანები, ხან ანგელოზები, ხან გაუგებარი სამყაროს არსებები. რა საინტერესოა ჩვენი ცხოვრება, არა?! ხან ადამიანებს ხოცავ, ხან ანგელოზებს, ამის მერე ნორმალური იქნები? ჩვენი ძვირფასი ბავშვები 24 საათი ერთობიან თამაშებით, რომლებითაც სპეცდანიშნულების რაზმებს ამეცადინებენ. არ დაგავიწყდეთ, როცა ასეთ თამაშში ხარ ჩართული, ვირტუალური სამყარო რეალურად გეჩვენება. საქართველოში ლექციებს წასაკითხად ჩამოსული იყო ჩემი ამერიკელი კოლეგა, პროფესორი. შემთხვევით მოხვდა ინტერნეტკაფეში. აღშფოთებულმა დამირეკა და მითხრა: არ ვიცი, როგორ მოვიქცე, აქ ბავშვები უპატრონოდ სხედან და რაღაც საშინელებებს თამაშობენ. რა გავაკეთო, პოლიციაში დავრეკოო – მკითხა. სახლში აღშფოთებული დაბრუნდა, ნუთუ იმ ბავშვებს მშობლები არ ჰყავთო. ამერიკაში, ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად პოლიციას შეატყობინებენ, იმიტომ რომ მოქალაქე ვალდებულია, აცნობოს პოლიციას არასრულწლოვანის შესახებ, რომელიც მარტო ზის ინტერნეტკაფეში და კაცმა არ იცის, რითია დაკავებული. მე, როგორც ფსიქოლოგი, მშობლებს ვურჩევ, აუკრძალონ ბავშვებს აგრესიული ვირტუალური თამაშები. ინტერნეტკაფეში არასრულწლოვანის ყოფნა კი საერთოდ მიუღებელია. 10 წლის წინ, ამერიკის ერთ-ერთ სკოლაში მშობლებს სახელმძღვანელო-ბუკლეტები დაურიგდათ, რომელშიც პირველ პუნქტად ეწერა – არ დატოვოთ ბავშვი მარტო ინტერნეტთან, დაადეთ კოდი თქვენს კომპიუტერს. საქართველოში ტოტალიზატორები და ინტერნეტკაფეები ბავშვებითაა სავსე. ჩვენ ამაზე არ ვრეაგირებთ. სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ: საზოგადოებამ, სახელმწიფომ, სკოლამ და ოჯახმა – ყველამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს.

– ქალბატონო თამარ, მოგეხსენებათ, 2008 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება – არასრულწლოვანები 12 წლის ასაკიდან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან...

– ასაკის ჩამოწევა 12-წლამდე კატეგორიულად დაუშვებელია. 2008 წლის ერთ-ერთი ამერიკული კვლევის მიხედვით, შეჯამებული იყო არასრულწლოვანთა დამნაშავეობის შემცირების მიზნით ჩატარებული ღონისძიებებისა და გამოყენებული მეთოდების შედეგები: კერძოდ „ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპისა“ და საკორექციო ციხეებში ბავშვების გაგზავნის, ბავშვთან ფსიქოთერაპევტისა და ფსიქოლოგების ინდივიდუალური მუშაობის, ოჯახური ფსიქოთერაპიის, ოჯახთან და სკოლასთან ერთობლივი მუშაობის. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ეფექტური იყო ბავშვის მიკროსოციალურ გარემოსთან- ოჯახსა და სკოლასთან სპეციალისტების გუნდური მუშაობა იმისათვის, რომ შემცირდეს ბავშვის დევიანტური ქცევის ალბათობა.

თუ არასრულწლოვანი დამნაშავის სასჯელი ციხეა, ამით ჩვენ კიდევ უფრო ვძალადობთ ბავშვზე. ციხე გამოსავალი არ არის.

პროექტ „უსაფრთხო სკოლის“ ერთ-ერთი ექსპერტი ვიყავი. უნდა ვაღიაროო, რომ, სამწუხაროდ, პროექტი აღარ შედგა. მსგავსი ინიციატივები კამპანიურ ხასიათს ატარებს, რეალურად არ ხორციელდება. „უსაფრთხო სკოლა“ ვალდებულია, მის ტერიტორიაზე დაიცვას მოსწავლის არა მხოლოდ ფიზიკური უსაფრთხოება, არამედ ფსიქიკურიც, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. „უსაფრთხო სკოლა” საზოგადოებაში გაიგივებულია სკოლებისათვის მიწოდებულ ქცევის კოდექსთან, რომელიც ჯარიმებითაა სავსე. ქცევის კოდექსს სკოლას გარედან კი არ უნდა აწვდიდნენ, სკოლა თვითონ უნდა შეიმუშავებდეს მას და არა მხოლოდ მოსწავლეებისათვის, არამედ მასწავლებლებისთვისაც. პროექტის მთავარი იდეა იყო უსაფრთხო ურთიერთობები, რომლის საფუძველიც იქნებოდა კონკრეტული სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა და მასწავლებელთა ქცევის კოდექსი. ასევე შემუშავდებოდა მოსწავლეთა ქცევის მართვის სტრატეგიები, რაც ქცევის პოზიტიურ განმტკიცებასა და წახალისებაზე იქნებოდა დაფუძნებული და არა მხოლოდ დასჯაზე. მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს თანაბრად ეკისრებოდა პასუხისმგებლობა. ეს იყო იმ დოკუმენტის ძირითადი იდეა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა.

გამოსავალი ის იქნება, რომ „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფცია ლოზუნგად არ დარჩეს. სკოლა ცოცხალი ორგანიზმია. აუცილებლად უნდა შედგეს თანამშრომლობა სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას შორის, ამას კი მძიმე და ხანგრძლივი მუშაობა სჭირდება.

ხშირად, დამნაშავე მოზარდი საზოგადოებისთვის საფრთხობელაა. ამ ბავშვის მიმართ ნდობის აღდგენას გარკვეული დრო სჭირდება, ამისთვის კი საკმაოდ სერიოზული მუშაობის ჩატარებაა საჭირო. მასთან უნდა იმუშაოს ფსიქოლოგმა, სოციალურმა მუშაკმა, თუ საჭიროა – ფსიქიატრმაც. ეს მულტიდისციპლინური სამუშაოა. საზოგადოებამ ეს ბავშვი რომ გარიყოს, კიდევ უფრო გაბოროტებულ და საზოგადოებისთვის საშიშ ადამიანს მივიღებთ. ვინ არის აგრესიული? ვისაც დაბალი თვითშეფასება აქვს. არსებობს კვლევები იმის შესახებ, რომ დაბალი თვითშეფასების მქონე მოზარდები მაღალი აგრესიით გამოირჩევიან.

– უნდა გაშუქდეს თუ არა მასმედიით მოზარდთა ძალადობის ფაქტები?

– მასმედიას ძალიან დიდი როლი ეკისრება ზოგადად საზოგადოების აზრის ფორმირებაზე. რა თქმა უნდა, მსგავსი ფაქტები შესაბამისად უნდა გაშუქდეს, მაგრამ არ შეიძლება ყველაფრის ნეგატიური ფერებით გადმოცემა. მართალია, მეც ყველაფერი ნეგატიურ ფერებში დაგიხატეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს რეალობაა. თუმცა იმედს მაძლევს ის, რომ ჩვენ ბევრი შესაძლებლობა გვაქვს, რასაც აღარ ვიყენებთ და რატომღაც ჩვენივე ნებით ვანგრევთ – ოჯახი, ადამიანური, გულღია ურთიერთობა, მოყვასის სიყვარული და დახმარება, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის მხარდაჭერა და შემწყნარებლობა. სწორედ მედიას შეუძლია ამ თემების გააქტიურება. მასმედიის დანიშნულება ფაქტის ობიექტურად გაშუქებაა, მაგრამ სათანადო ფორმის მოძებნაა საჭირო, მით უმეტეს, როცა საქმე არასრულწლოვანს ეხება. ჟურნალისტმა უნდა შეძლოს პოზიტიურის დანახვა, თუნდაც, ყველაზე ნეგატიურში, ყველაზე სერიოზულ დამნაშავეშიც კი არის გარკვეული რესურსი, რომელიც არავინ გამოიყენა.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

მოსწავლე შემოქმედი

მომავალი პროფესია თუ მოზარდის გატაცებად ქცეული ჟურნალისტობა

ევა ბოლქვაძე თბილისის 51-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეა. 14 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს, მთელმა საქართველომ იხილა პირდაპირ ეთერში მისი საუბარი საქართველოს პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან.

ორი წელია, რაც ევა ჟურნალისტიკამ გაიტაცა. 2007 წლის ნოემბერში, ჩვენს გაზეთში, 51-ე სკოლის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, დაიბეჭდა ევას ინტერვიუები ამ სკოლის კურსდამთავრებულებთან. *„მოვიძიე უამრავი ცნობილი, ერის და ქვეყნის წინაშე დამსახურებული ადამიანი, რომელსაც 51-ე სკოლა აქვს დამთავრებული და რამდენიმე მათგანს ვესტუმრე, ჩავიწერე ინტერვიუები, სადაც ისინი არაჩვეულებრივ ამბებს ჰყვებიან სკოლის ისტორიიდან.“* – ვკითხულობთ შესავალ წერილში. მაშინ მისი რესპონდენტები იყვნენ: ირაკლი ციციშვილი – პროფესორი, პედიატრი; ნათელა ურუშაძე – პროფესორი, თეატრმცოდნე; მაია რჩეულიშვილი – ბიზნესმენი; ნანული სარაჯიშვილი – მსახიობი; ლიანა ასათიანი – მსახიობი. ქალბატონმა ლიანამ ევას ასეთი სიტყვები დაუტოვა სამახსოვროდ: *„ჩვენს ახალგაზრდებს ვუსურვებ, მიზანდასახულად გევრი იშრომონ. მხოლოდ დიდი შრომით მიიღწევა სასურველი მიზანი...“*

რეჟისორმა, მაკა გურდულმა ევა მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის ფილმშიც ათამაშა, რომელიც მსახიობ სოფიკო ჭიაურელის ხსოვნას მუძღვნა. ევა სოფიკოს მიერ განსახიერებულ „მრეცხავი ვარდოს“ როლზე დაამტკიცეს. ფილმს ჰოლივუდში მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე აჩვენებენ, დამწყებები მსახიობების ოსტატობას სხადასხვა ქვეყნის პროდიუსერები შეაფასებენ.

სწრედ მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობაა ის თვისებები, რომელთა დახმარებითაც ევამ უკვე ათამდე ინტერვიუ ჩაწერა და სამომავლოდაც საინტერესო გეგმები აქვს.

– როდის და ვისთან ჩაწერე პირველი ინტერვიუ?

– პირველად, ორი წლის წინ, ჭაბუა ამირეჯიბთან გადავწყვიტე ინტერვიუს ჩაწერა, მისი ხელნაწერიც მაქვს შენახული. ინტერვიუსთვის მზადება და თვითონ საუბრის პროცესი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის, რომ „ჟურნალისტობა“ შემდგომაც გავაგრძელე. ყველაზე გამორჩეული, ალბათ, პრეზიდენტთან ინტერვიუ იყო, ასევე, განსაკუთრებით დამამახსოვრდა გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრა, რადგან ბატონი გურამი არაჩვეულებრივი მოსაუბრე აღმოჩნდა. ყველაზე შრომატევადი იყო სკოლის კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს მომზადება.

რატომ გადავწყვიტე ინტერვიუების ჩაწერა? ჩვენს სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი. შეგვარჩიეს სკოლის ჟურნალისტები, ვინც სისტემატურად ვამზადებთ და ვაწვდით მასალას. ჩემი ინტერვიუებიც ამ ჟურნალისთვის მომზადდა, ზოგი ლექსებს წერს, ზოგი – მოთხრობებს... წელს, პირველი ნომრისთვის, გურანდა გაბუნიასთან მაქვს გადაწყვეტილი ინტერვიუ, შემდეგ – პაატა ბურჭულაძესთან, ფონდ „იავნანას“ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ინტერვიუების ნაწილი „ირმის ნახტომში“ მიდის და ბევრჯერ გამიმარჯვია კიდეც მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში.

* * *

ევას წარმატება პრეზიდენტმაც აღნიშნა: *„სანამ ინტერვიუზე დაგთანხმდებოდი, წინასწარ ვნახე შენი ბიოგრაფია. იმდენი ოლიმპიადა გაქვს მოგებული, იმდენ კონკურსში ხარ გამარჯვებული, რომ მეც კი მაჯობე. შენ და შენმა თანატოლებმა უნდა შეძლოთ სასწაული, რაც ჩვენ ვერ შევძელით.“*

* * *

– ჟურნალისტიკის გარდა კიდევ რა გიტაცებს?

– ძალიან მიყვარს თეატრი. ყველა ვარსკვლავის გახსნას ვესწრები. ოთარ მეღვინეთუხუცესთან და გურანდა გაბუნიასთან ერთობლივი ინტერვიუც კი ჩავწერე.

მიყვარს სიმღერა. დავამთავრე მუსიკალური სკოლა, წელს თამრიკო ჭოხონელიძის მუსიკალურ სტუდიაში ჩავეწერე და ძალიან კმაყოფილი ვარ.

– რატომ გადაწყვიტე პრეზიდენტთან ინტერვიუ?

– მიხეილ სააკაშვილი ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია, მე მისი ყოფილი პედაგოგი, კლარა ჩხაიძე მასწავლის. ერთხელ პრეზიდენტის ნამუშევრები დაგვათვალიერებინა. მაშინ გამიჩნდა სურვილი, მასთან ინტერვიუ ჩამეწერა. მედეა ჩახავას დაკრძალვის დღეს პრეზიდენტი რუსთაველის თეატრში იყო მისული, ვისარგებლე შემთხვევით და ინტერვიუ ვთხოვე, მაშინვე დამთანხმდა. ერთ საათში მართლაც დამიკავშირდნენ, ინტერვიუს პირობებზე შევთანხმდით და შევხვდით კიდეც. ძალიან თბილი ადამიანია. ჩემთვის ეს ინტერვიუ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია.

პრეზიდენტმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ გახდა წარმატებული – სწავლით და, ისევ და ისევ, სწავლით. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი ხელნაწერი გაზეთის, ოქროს მედლის ნახვა, რომელიც სკოლის წარჩინებით დამთავრებისათვის გადასცეს. მომეწონა ისიც, რომ ჩემთან ინტერვიუზე სერიოზულად იფიქრა, წინასწარ მოემზადა და ისე მოვიდა.

– თუ გაქვს გადაწყვეტილი, რა სპეციალობას აირჩევ?

– ალბათ, ჟურნალისტიკას, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, რომელ უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარებ.

* * *

გახდება თუ არა ევა ჟურნალისტი, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ დღესვე შეიძლება ითქვას ის, რომ ამ გოგონას უკვე გამორჩეული ბიოგრაფია აქვს. საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები და საუბარი, რა თქმა უნდა, მოზარდის ცხოვრებაში უკვალოდ არ ჩაივლის და, ალბათ, გარკვეულწილად, მის მომავალსაც განსაზღვრავს. რადგან ევამ ყველაზე საინტერესო მოსაუბრედ გურამ დოჩანაშვილი დაასახელა, გთავაზობთ მასთან ჩაწერილ ინტერვიუს:

***

16 ნოემბერი, შემოდგომის პარასკევი, ნსთ. სტუმრად ბატონ გურამ დოჩანაშვილთან.

სახლი წიგნებით არის სავსე... მწერლის სამყაროში აღმოვჩნდი. ძალიან თბილად და ალერსიანად შემხვდა ბატონი გურამი, გავშვები ძალიან მიყვარს, მხოლოდ გავშვებს ვერ ვეუბნები უარს ვერაფერზე, ისე ინტერვიუებს აღარ ვიძლევიო. წლებს ჯანმრთელობაზე უმოქმედია.

– როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები მწერლობაში?

– ბავშვობიდან ვწერდი ლექსებს, 18-19 წლის ასაკში დავიწყე პროზაში მუშაობა. პირველი მოთხრობები დაიბეჭდა ჟურნალ ცისკარში. იქ იყო რუბრიკა „ჭაშნიკი“ საკმაოდ ძნელი იყო დაბეჭდვა, დიდი სიხარული განვიცადე მაშინ, რედაქტორი იყო ვახტანგ ჭელიძე.

ყველაზე დიდი აღიარება მომიტანა ნაწარმოებებმა: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ და „ერთი რამის სიყვარული, დამალვა რომ სჭირდება“. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მსახიობს, არაჩვეულებრივ პიროვნებას ეროსი მანჯგალაძეს, რომელმაც უდიდესი შრომა და ნიჭი ჩადო ორივე მთავარი გმირის განსახიერებაში.

– რომელია თქვენთვის ყველაზე საყვარელი პერსონაჟი?

– ხან ვინ მიყვარს, ხან ვინ. განსაკუთრებით საყვარელი ნაწარმოებია „თავფარავნელი ჭაბუკი“, რადგანაც ხალხური საუნჯეა, მის არქიტექტურაზეა აგებული.

– რას იტყოდით თქვენი რომანის „ლოდი ნასაყდრალის“ შესახებ?

– ეს ნაწარმოები ძალიან რთულ დროს იწერებოდა – სიცივეში, უშუქობაში, მიჭირდა კალმის ხელში დაჭერა, 7 წელი ვწერდი, მხოლოდ ასი გვერდი მქონდა დაწერილი, საავადმყოფოში რომ მოვხვდი ავარიის გამო, მაგრამ ამ ნაწარმოების წყალობით კვლავ მაგიდას დავუბრუნდი და დავასრულე.

– რას ურჩევდით ჩვენს ახალგაზრდობას?

– პირველ რიგში, კითხვას, წიგნის კითხვას, ნაკლები ყურადღება დაუთმონ ფუქსავატ სატელევიზიო გადაცემებს, მშობლიური ლიტერატურა, ღვთის წყალობით, უხვად გვაქვს. ერთმა ცნობილმა კრიტიკოსმა 1972 წელს დაწერა ჩემი ნაწარმოების „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ კარცერ-ლუქსის შესახებ, რომ ეს ძალადობაა, მაგრამ ეს იყო ფუქსავატი ახალგაზრდობისთვის. 1990 წელს გამოასწორა თავისი შეხედულება და ბოდიშიც მოიხადა, თურმე საჭირო ყოფილაო. ჩემი აზრით, დღესაც საუკეთესო საშუალებაა „კარცერ-ლუქსი“...

ამჟამად ვმუშაობ ავტობიოგრაფიულ რომანზე, რომელიც იბეჭდება ჟურნალში „ლიტერატურა და ხელოვნება.“

– ბოლო შეკითხვა, დღეს 53 წლის ასაკში გარდაიცვალა გოდერძი ჩოხელი – ორიოდე სიტყვა, როგორც მწერალზე, როგორც შემოქმედზე.

– ჩემთვის დიდად ძვირფასია მისი შემოქმედება, იგი მყარად დგას ეროვნულ ნიადაგზე პროზაშიც და კინემატოგრაფიაშიც. ერთნაირად დიდ წარმატებებს მიაღწია. აუნაზღაურებელი დანაკლისია მისი უდროოდ წასვლა...

* * *

არასოდეს დამავიწყდება ეს დღე. გარეთ ბინდია, შემოდგომის თბილი საღამო, მე, ევა ბოლქვაძე, დღეს შევხვდი ჩვენი დროის უდიდეს შემოქმედს, მწერალ გურამ დოჩანაშვილს. მომეჩვენა, რომ ცხოვრებისგან დაღლილი იყო – სევდიანი, თუმცა არ იმჩნევდა, დიდი სითბო და სიყვარული მომაცილებდა მისი სახლიდან. ეს დღე იმითაც დამამახსოვრდა, რომ დღეს, 16, ნოემბერს, გამთენიისას გარდაიცვალა ასევე დიდი მწერალი და კინოხელოვანი გოდერძი ჩოხელი, რომლის არაერთი ნაწარმოები შარშან და წელს წავიკითხე და ვემზადებოდი მასთან შესახვედრად, მაგრამ... ამიტომ, ჩემი აზრით, სიცოცხლეს ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ...

რა არის სიცოცხლე?... კითხულობს მწერალი – სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა – ამიტომაც არის დღევანდელი დღე ასეთი სევდიანი, თუ მე მეჩვენება ეს დღე ასეთი...

სიკვდილი? სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა...

გამოხმაურება

უპასუხოდ დარჩენილი კორესპონდენციები...

ვეხმაურები გაზეთ ,,ახალ განათლებაში" 2009 წლის 17-23 სექტემბერს №26, №27 და №28-ში გამოქვეყნებულ წერილებს – „პროფესიული მომზადება დასაქმებისათვის", ჯუმბერ გაბრიელაშვილის თვალსაზრისს და დენის დავითაშვილის ინტერვიუს ,,დარგის მომავალს პროფესიონალები უნდა განსაზღვრავდნენ."

გადავწყვიტე, გავმოვხმაურებოდი აღნიშნულ პუბლიკაციებს, მით უმეტეს, რომ სათქმელი საკმოდ დაგვიგროვდა.

დავიწყებ იმით, რომ განათლების პოლიტიკა უნდა დაფუძნებოდა 2000 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული მემორანდუმის „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე" პრინციპებს, შემუშავდა „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკისა და სტრატეგიის დეპარტამენტის წინადადება პროფესიული განათლების ერთიანი სივრცის შექმნის თაობაზე", საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფცია", „ოთხი იოლი ნაბიჯი ლიცენზიის მოსაპოვებლად". არც ერთი ზემოთ მითითებული კანონპროექტი არ დაეგზავნა პროფესიულ სასწავლებლებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების მიერ. მხოლოდ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ მოხდა ამ კანონპროექტების პროფესიული სასწავლებლებისათვის გაცნობა. „პროფესიული განათლების შესახებ" კანონიც, სამწუხაროდ, პროფესიონალების მოსაზრების გაუთვალისწინებლად მიიღეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნა „პროფესიული განათლების სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებათა ოპტიმიზაციის და რეორგანიზაციის კომისია", რომელმაც არაპროფესიონალურად იმუშავა და ბევრ ისეთ საშუალო პროფესიულ სასწავლებელს გაუკეთა იგნორირება (გაუშვა მილევად რეჟიმში და მერე ლიკვიდაციაში), რომლებსაც ბაზაც ჰქონდათ და გამოცდილებაც პროფესიონალი მუშახელის მოსამზადებლად. მათ შორისაა ზუგდიდის პროფტექნიკური კოლეჯი, სადაც იმ დროისათვის 300-ზე მეტი მოსწავლე ირიცხებოდა და რომელთა თითქმის 90% აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები იყვნენ.

მას 80 წლის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში კოლეჯში 80000-ზე მეტი პროფესიონალი, პრაქტიკული გამოცდილების მქონე მუშახელი მომზადდა როგორც სამშენებლო, ასევე სასოფლო-საქალაქო მომსახურების სფეროსა და კვების მრეწველობისათვის.

ძნელბედობის ჟამს, სამოქალაქო ომის წლებში სამეგრელოში დატრიალებული ტრაგედიისას, სასწავლებლის პედაგოგიურმა კოლექტივმა საკუთარი სიცოცხლისა და მორალური შეურაცხყოფა-დამცირების ფასად არ გააძარცვინა სასწავლებლის ქონება „მხედრიონსა" და ათასი ჯურის მოთარეშე ბანდებს. იშვიათი გამონაკლისის გარდა არ შეწყვეტილა სასწავლო პროცესი.

1996 წელს კოლეჯი დაეხმარა თსუ ზუგდიდის ფილიალს დაფუძნებაში. ამან სასწავლებლის (კოლეჯის) სასწავლო პროცესზე სერიოზული გავლენა მოახდინა, რადგან კანონის საწინააღმდეგოდ კაბინეტ-ლაბორატორიებში მოუწიათ გაკვეთილების ჩატარება. ფილიალს გადაეცა ჯანაშიას №5-ში მდებარე ხუთსართულიანი შენობა ნაჩუქობით. ნაცვლად იმისა, რომ ფილიალს საკუთარი ქონების შესაძენად ეზრუნა, 2004 წლიდან პირდაპირ გადავიდა იერიშზე კოლეჯის ბალანსზე არსებული ქონების დასაუფლებლად.

2005 წელს სასწავლებელს განათლების სამინისტროსაგან მოუვიდა შეტყობინება კოლეჯის ტერიტორიიდან პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობისათვის 3410კვ.მ ფართის დათმობაზე (სამეგრელო-ზემო სვანეთის მაშინდელი გუბერნატორის, გიგი უგულავას მოთხოვნის საფუძველზე). მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელი კარგავდა სასწავლო პროცესისათვის აუცილებელ მატერიალურ ფასეულობას, წავიდა დათმობაზე იმ პირობით, რომ სახელმწიფო აანაზღაურებდა იმ უძრავ ქონებას, რომელიც განადგურდა რეზიდენციის მშენებლობის გამო.

მიზანმიმართულად ჭიანურდებოდა კოლეჯის წესდების დამტკიცება და მისი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად აღიარება. როგორც პროფკავშირის თავმჯდომარე ჩავერთე ამ საკითხის მოგვარებაში, და მინისტრის №123 ბრძანებით, 2006 წლის 20 თებერვალს, სასწავლებელი დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და ოფიციალურად მიეცა უფლებამოსილება უძრავ-მოძრავი ქონების მიღება-ჩაბარებაზე. სწორედ ამ დროს, როცა უკვე შესაძლებელი იყო კოლეჯთან დაკავშირებული საკითხის სამართლებრივი გზით მოგვარება, სასწავლებლის მატერიალური პასუხისმგებელი პირი დემურ კუკავა ყველას არწმუნებდა, რომ მინისტრს (კახა ლომაია) მაგიდაზე ხელმოსაწერად ედო კოლეჯის ლიკვიდაციის შესახებ ბრძანება. როგორ შემდეგ გაირკვა, მსგავსი არაფერი ყოფილა. ეს ხმები იმიტომ გავრცელდა, რომ სასწავლებელს თავისი კუთვნილი ფართიდან 1260 კვ.მ. თსუ ფილიალისთვის დაეთმო. თუ ასე არ მოხდებოდა სასწავლებელს გაუშვებდნენ ლიკვიდაციაში, თუ დათმობდა, მაშინ, მიუხედავად ასაკისა, დირექტორს არ შეუწყდებოდა უფლებამოსილება 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე. ამის შემდეგ, 2006 წლის 31 მარტს განათლების მინისტრის მოადგილის, თემურ სამადაშვილის მიერ კოლეჯი მოხსენიებულ იქნა ყოფილად და კოლეჯის ბალანსზე ასახული უძრავ-მოძრავი ქონება მინისტრის მოადგილემ მთლიანად გადასცა გაუქმებულ თსუ ზუგდიდის ფილიალს, ხოლო დაპირების მიუხედავად, კოლეჯის დირექტორი ერთ თვეში თანამდებობიდან გაანთავისუფლეს. ზუგდიდის რესურსცენტრის რეკომენდაციით, სასწავლებელში დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ფილიალის წარმომადგენელი ოთარ გუგუჩია. იგი ყოველმხრივ ცდილობდა კოლეჯის ქონების მემკვიდრე ფილიალი გამხდარიყო. გუგუჩიას დაუპირისპირდა კოლეჯის კოლექტივი და დაადანაშაულა სასწავლებლის ინტერესების დაუცველობაში. ის იძულებელი გახდა წასულიყო კოლეჯიდან.

ჩვენს დასამშვიდებლად სამადაშვილმა კოლეჯში გამოაგზავნა წერილი, თითქოს ეს შეცდომა იყო და ფილიალს აძლევდნენ მხოლოდ შენობის 1260კვ.მ. გაუგებარია, რაში სჭირდებოდა ფილიალს ფართი, როცა მის ფუნქციონირებაზე სათაო – ჯავახიშვილის უნივერსიტეტს უარი ჰქონდა ნათქვამი?!

დასახელებული სასწავლებლის ხელმძღვანელად, გასაუბრების წესით (6 კანდიდატიდან), დავინიშნე მინისტრის №304/კ ბრძანებით 23.04.2007წ., რომელსაც გავეცანი 01.05.2007წ და 02.05.2007წ საქმიანობა დავიწყე. ვინაიდან სასწავლებელში მუშაობის ხანგრძლივი ისტორია (1980 წლიდან) მქონდა, კარგად ვიცნობდი მის სპეციფიკას, ჩემი პროგრამიდან გამომდინარე, დავიწყე ზრუნვა ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების განახლებისათვის.

პირველ ეტაპზე, სასწავლებელში განვახორციელე რეორგანიზაცია. შტატიდან გამონთავისუფლდნენ პირები, რომლებსაც განუკითხაობის პერიოდში კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე გახსნილი ჰქონდათ კომერციული სასწავლებლები და 1998 წლიდან ეკავათ ორი და სამი თანამდებობაც კი როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში, ასევე მათ მიერ კოლეჯის შიგნით გახსნილ კერძო კოლეჯებში. შტატიდან გამონთავისუფლებულნი დაიტვირთნენ საათებით სპეციალობის მიხედვით. ასე რომ, დაუსაქმებელი არავინ დარჩენილა.

სასწავლებლის შემდგომი ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსებაზე და არსებულ ცვლილებებზე, სამოქმედო პროგრამასთან ერთად, მასალები პირადად ჩავაბარე სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს.

სასწავლებელში აუცილებელი იყო ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, გამოვაცხადე ვაკანსია და შტატების დაკომპლექტება დავიწყე ტექნიკური და ეკონომიკური მიმართულების ახალგაზრდა მაგისტრის ხარისხის მქონე კადრებით, რომლებიც ჩემი განთავისუფლების შემდეგ იძულებულნი გახდნენ, სასწავლებლიდან წასულიყვნენ.

თსუ ფილიალი, რომელიც 11 წლის განმავლობაში იჯარის გადახდის გარეშე სარგებლობდა კოლეჯის უძრავ-მოძრავი ქონებით, საბოლოოდ გაუქმდა. ბუნებრივია, კოლეჯის ადმინისტრაციას ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა ჩაბარებოდა თავის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობა. მიუხედავად არაერთგზის სიტყვიერი და წერილობითი მოთხოვნისა, ფილიალის ადმინისტრაცია შეგნებულად არიდებდა თავს კოლეჯისთვის ქონების დაბრუნებას. ამის თაობაზე რამდენჯერმე მივმართე დახმარებისათვის როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს; არაერთხელ წარვადგინე განათლების სამინისტროში „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეორგანიზაციის და ოპტიმაზაციის" კომისიაში, რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროგრამის გათვალისწინებით, სასწავლებლის სამომავლო სამოქმედო პროგრამაც დეპუტატის, ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო საწარმოების წარმომადგენელთა რეკომენდაციებითა და შუამდგომლობებით. მიუხედავად ამისა, სასწავლებელი, რომელიც 2006 წელს დაფუძნდა, როგორც სსიპ და რომელსაც 2006/2007 წლისათვის მინისტრის ბრძანებით დაუმტკიცდა სამი სპეციალობა, მინისტრის მოადგილემ, სამადაშვილმა მიზანმიმართულად დატოვა მილევად რეჟიმში. ის ხელს უშლიდა სასწავლებლის შემდგომ ფუნქციონირებას, სხვადასხვა გარიგებების გამო.

სასწავლებლისთვის უშუალოდ სამადაშვილის მიერ ხელოვნურად შექმნილმა ფინანსურმა, ქონებრივმა პრობლემებმა განაპირობა ჩემ მიერ განცხადების გაგზავნა სამინისტროში, რასაც მინისტრის ბრძანების საფუძველზე მოჰყვა კოლეჯის თემატური შემოწმება გენინსპექციის მიერ.

შემოწმებას სიხარულით შევხვდი. შემმოწმებელ ჯგუფს ხელმძღვანელობდა არჩილ კუკულავა, მონაწილეობდა თავად გენინსპექციის უფროსი თამარ კაკუტიაც. შემოწმებას არ გააკარეს ჯგუფის წევრი ზვიად კიკვაძე, ის აფრთხილებდა კუკულავას, სასწავლებელში არსებული ქონებრივი პრობლემები ჩემთვის არ მიეწერა, რადგან მათ შესახებ სრულ ინფორმაციას თავად ფლობდა. გენინსპექციის მუშაობას აშკარად ეტყობოდა, რომ იყო შეკვეთილი და მიზანდასახული. ჯგუფის ხელმძღვანელი კუკულავა არც დაინტერესებულა კოლეჯის ბალანსზე ასახული უძრავ-მოძრავი ქონების არსებობით. ის ცინიკურ პასუხს იძლეოდა ყველა ჩემს მოთხოვნაზე და ბოლოს მემუქრებოდა კიდეც. მიუხედავად ჩემი კატეგორიული მოთხოვნისა, კუკულავამ არც კი ისურვა 1260კვ.მ ფართთან დაკავშირებული საკითხის არა თუ შესწავლა, არამედ მისი დათვალიერებაც კი. ვითარება ასეთია – სრულად განადგურებულია შენობის ის ნაწილი, რომელიც წლების მანძილზე ფილიალს ეკავა. ასეთ შემთხვევაში ვის უნდა მოეკითხოს პასუხი განათლების სამინისტროს ბალანსზე არსებული ქონების მოვლა-პატრონობისა და არსებული დარღვევებისათვის, მკითხველისათვის მიმინდია.

განათლების სამინისტროში გავეცანი გენინსპექციის შემოწმების აქტს, არ დავეთანხმე და წერილობით მოვითხოვე საქმის შესწავლა, ან აქტის სამართალდამცავი ორგანოებისათვის (განთავისუფლებამდე) გადაცემა კოლეჯის მიმართ განხორციელებული ქმედებების შესასწავლად. განთავისუფლებამდე დამიბარეს ადგილობრივ რესურსცენტრში და გამაფრთხილეს არ შევწინააღმდეგებოდი სამადაშვილს. თუ დავთმობდი კოლეჯის უძრავ-მოძრავ ქონებას, ხელს შემიწყობდნენ კერძო სასწავლებლის გახსნაში და მომცემდნენ მე-7 სკოლის გამონთავისუფლებულ ფართს. ამაზე არ დავთანხმდი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ სკოლას აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს მისი ფუნქცია, მეორეც, რატომ უნდა ჰქონდეს სასწავლებელს ფართი საძიებელი, როცა ის წლების განმავლობაში 4333კვ.მ შენობის ფართს ფლობდა მასზე დამაგრებული 10700კვ.მ მიწის ფართით.

ჩემი პრინციპული პოზიციის გამო, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, დახმარების ნაცვლად, გამანთავისუფლეს დირექტორის მ/შ თანამდებობიდან. თუმცა, კანონის მიხედვით ჩემი განთავისუფლება არ შეიძლებოდა, რადგან სასწავლებელი მილევად რეჟიმში იმყოფებოდა. განთავისუფლების საფუძველი შემოწმების აქტი გახდა. წერილით მივმართე მაშინდელ მინისტრს გია ნოდიას, რომ შემხვედროდა და გარკვეულიყო სიტუაციაში, მაგრამ უარყოფითი პასუხი მივიღე.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი იმედი არ მქონდა ქართული მართლმსაჯულების, სარჩელი შევიტანე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განსახილველად. როგორც მოსალოდნელი იყო სასამართლომ მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება. სააპელაციომ კი განაცხადა, რომ მას ადმინისტრაციული სასჯელის აპელირების უფლება არ ჰქონდა და ძალაში დატოვა იგივე გადაწყვეტილება. უზენაესში საქმის გაგრძელებას აზრი არ აქვს.

როცა სამინისტროში დარწმუნდნენ, რომ კოლექტივი ბოლომდე დაიცავდა სასწავლებელის ინტერესებს, მივიღეთ მინისტრის მოადგილის წერილი. ის ითხოვდა 2008 წლის 10 იანვრამდე კოლეჯის სამოქმედო პროგრამის წარდგენას სამინისტროში. 2008 წ. 11 იანვარს წარვადგინე მასალები, მოთხოვნის შესაბამისად, ორ ეგზემპლარად, რეკომენდაციებით და შუამდგომლობებით, სულ 33 გვერდი. აქვე მინდა აღვნიშნო აწ განსვენებული დეპუტატის, გრიგოლ ქობალიას, ქალაქის გამგებლის, საკრებულოს, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო საწარმოების წარმომადგენელთა შესახებ, რომელთაც რეკომენდაციები გაუწიეს სასწავლებელს სამინისტროს წინაშე. პირადად შევხვდი გუბერნატორს და გავაცანი კოლეჯის პროგრამა. თავადაც მომცა რჩევები, რისთვის მიგვექცია ყურადღება, თუმცა რეკომენდაციაზე, ისე როგორც რესურსცენტრმა, უარი გვითხრა, იმ მოტივით, რომ ეს საქმე მათ კომპეტენციაში არ შედიოდა. სამინისტროში ამ მასალებით არავინ დაინტერესებულა. მე განთავისუფლებული ვიყავი, მომძიებელი სხვა არავინ გამოჩნდა. საჭირო იყო, კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ოფიციალურად მიემართა სამინისტროსთვის ჩემ მიერ ჩაბარებული საბუთების მოძიებისა და განხილვის თაობაზე, რაც ასევე შეგნებულად არ გაკეთდა ისევ გენინსპექციის მითითებით. ქალბატონ თამარ კაკუტიას სურდა, დაემტკიცებინა მინისტრისთვის, რომ სასწავლებელზე არ იყო მოთხოვნა. აბა რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ სასწავლებელში ყოფნისას გენინსპექციამ დავალიანების მქონე 14 მოსწავლე იძულებით ამოგვაღებინა სიიდან, რათა რაც შეიძლება მოსწავლეთა ნაკლები რაოდენობა ეჩვენებინა. ამის მიუხედავად 205 მოსწავლეს მაინც ვერ აცდა.

ახალი მინისტრის, ბატონ ნიკა გვარამიას დანიშვნის შემდეგ, იმედი მომეცა, რაღაც შეიცვლებოდა. ის დაინტერესდებოდა სამინისტროში ადმინისტრაციულ საქმიანობაში წლების მანძილზე არსებული დარღვევების შესწავლით. მივმართე განცხადებით და ვთხოვდი შეხვედრას. საქმის კურსში ჩავაყენე ახალდანიშნული გენინსპექციის უფროსი ვასილ გედევანიშვილი. ადამიანურად მან მითანაგრძნო, დამიდასტურა, რომ მართალი ვიყავი, მაგრამ აქტის შემდგენი არჩილ კუკულავა თავის უფროსზე ძლიერი აღმოჩნდა. **ფაქტობრივად, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. თავის დროზე იმდენი უზუსტობა, შეგნებული თუ შეუგნებელი დანაშაული იქნა ჩადენილი, რომ ბუნებრივია, კვალის დასაფარად მთელი ეს მასალა მინისტრის აპარატში იბლოკება, რის გამოც იგი არ იცნობს საქმის რეალურ ვითარებას.** 19 მაისის შემდეგ ვცდილობ შევხვდე მას, რათა ვუამბო იმ უკანონობათა შესახებ, რომლის გამოც განადგურდა ჩვენი კოლეჯი და ვკითხო, შეიძლება თუ არა ადამიანი ასე დაუსრულებლად ითხოვდეს პასუხს მის მიერ წარდგენილი კორესპონდენციების საფუძველზე და უშედეგოდ? განა სამინისტროს თანამშრომლები ვალდებულნი არ არიან შეკითხვას ან მოთხოვნას უპასუხონ? ნუთუ აუცილებელია, მიმართო პროტესტის უკიდურეს ფორმას, რომ ყურადღება მოგაქციონ?

იზოლდა ხასია
ზუგდიდის პოლიტექნიკური კოლეჯის ყოფილი დირექტორი

მემკვიდრეობა

ფიროსმანის ქომაგების „თბილისური ავანგარდი“

ძმები ზდანევიჩები

ხელოვნების მუზეუმი კირილ და ილია ზდანევიჩების შემოქმედებას მასპინძლობს. ეს ერთ-ერთი რიგითი კი არა, გამორჩეული გამოფენა იქნება – საქართველოში ილიაზდის მემკვიდრეობის ნაწილი დაბრუნდა... ერთ საგამოფენო სივრცეში კონცენტრირებული ქართული მეოცე საუკუნის და დასავლური ავანგარდისტული კულტურის ერთობლიობა, დამეთანხმებით, მართლაც გამორჩეულია. ბევრი ქართველისთვის ცნობილი ძმების – ზდანევიჩების გვარი ფიროსმანის აღმოჩენასთან და ქართული ავანგარდის ფეხის ადგმასთანაა დაკავშირებული.

„ზდანევიჩები“ საქართველოში 20 წლის პაუზის შემდეგ იფინება... 1989 წლის ზდანევიჩების გამოფენამ ფართო საზოგადოების მეხსიერებასა და ავანგარდულ სულზე კვალი ვერ დატოვა, თუმცა მიუხედავად იმ წლის ტრაგიკულობისა, გამოფენა მაინც შედგა. იმ გამოფენას, თბილისში, ილიაზდის შვილი – შალვა ზდანევიჩი სტუმროობდა, წლევანდელ გამოფენასთან დაკავშირებულ მიღებას კი – დიუმას კულტურის ცენტრში – ილიაზდის ბოლო მეუღლის ვაჟი, ფრანსუა მერე. საექსპოზიციო მასალებს სწორედ მისი საარქივო მასალები დაემატა.

და მაინც, ვინ იყვნენ ზდანევიჩები? თბილისური ავანგარდის ავანგარდში მყოფი ორი ნიჭიერი – დედით ქართველი და მამით პოლონელი– ახლგაზრდა, რომლებმაც, ლე დანტიუსთან ერთად, აღმოაჩინეს და მერე პიკასომდეც კი მიიტანეს ფიროსმანი (ილიაზდი 1972 წელს, პარიზში გამოსცემს წიგნს „ნიკო ფიროსმანაშვილი“, პიკასოს მიერ შესრულებული პორტრეტით); **ილიაზდი** – დადაისტი პოეტი, გამომცემელი, ტიპოგრაფიის დიდი ოსტატი, რომელთანაც თანამშრომლობდნენ: პიკასო, მირო, ერნსტი... ადამიანი, რომელმაც გარშემო გამოჩენილი ავანგარდისტები შემოიკრიბა... **კირილე** – ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, ავანგარდის განმსაზღვრელი საქართველოში...

ფიროსმანის „პირველი ქომაგების“ ცხოვრების მიღმა ძალიან ბევრი საინტერესო ამბები და ხელოვნების განვითარების ისტორიისთვის ფასდაუდებელი მასალები იკვეთება.

ყველაზე მნიშვნელოვანი შტრიხები

ილიაზდი – ილია ზდანევიჩი დაიბადა თბილისში 1894 წელს, იგი 2 წლით უმცროსი იყო ძმაზე – კირილ ზდანევიჩზე.

1911 წელს ჩააბარა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, კირილემ კი – პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.

ძმები უახლოვდებიან რუსული ავანგარდის წამყვან ფიგურებს, ამავე წელს კირილე ზდანევიჩი აწყობს პირველ პერსონალურ გამოფენას რუსეთში, 1912 წელს კი ილია ზდანევიჩი კითხულობს მოხსენებას ფუტურიზმზე ტროიცკის თეატრში (პეტერბურგი).

1912 წელს ძმები პირველად ეცნობიან ნიკო ფიროსმანის შემოქმედებას მხატვარ ლე დანტიუსთან ერთად. ილიაზდი (ილია ზდანევიჩი) იმავე წელს ბრუნდება პეტერბურგში,1913 წელს კი ისევ ჩამოდის თბილისში ფიროსმანის პირადად გასაცნობად. ნიკალამ ილიაზდის პორტრეტი დახატა.

1913 წელს კირილ ზდანევიჩი მიემგზავრება პარიზში, სადაც ეცნობა თანამედროვე ევროპულ მიმდინარეობებს, იდეებს და მხატვრებს. განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს მასზე პიკასო.

1915 წელს კირილი ჯარიდან თბილისში ბრუნდება. ოქტომბერში ცოლად ირთავს ვალერია ვალიშევსკაიას – უახლოესი მეგობრის, ზიგა ვალიშევსკის დას. აგრძელებს ფიროსმანის მიმოფანტული ტილოების შეგროვებას. ამ წლებში ძმები ყველაზე მეტად ეწევიან ფიროსმანის პოპულარიზაციას და 1916 წელს აწყობენ ფიროსმანის 50 ნახატის გამოფენას თბილისში.

1917 წელს თბილისს ავანგარდის ახალი ტალღა უვლის, იხსნება კირილის გამოფენა, რომელმაც ბიძგი მისცა ახალ ფუტურისტულ გამოსვლებს.

თბილისში არსდება ილიაზდის ახალი პოეტური სკოლა „ფუტურისტული სინდიკატი“, რომელიც ერთ წელიწადში დაიშალა. მისი მეთაურობითვე იქმნება მეორე პოეტური სკოლა – „41 გრადუსი“ – დადაისტურ-ანარქისტული პოეტების გაერთიანება, რომელიც გამომცემლობითაც იყო დაკავებული. სწორედ „41 გრადუსში“ მოხდა „ზაუმის“, როგორც პოეზიის, პრინციპულად ახალი მიმდინარეობის თეორიული დასაბუთება.

1927 წელს ილიაზდი, ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, ქართული ძეგლების შესწავლის მიზნით, ტაოკლარჯეთში მიემგზავრება (შემდეგ ამ მასალებს პარიზში აქვეყნებს).

1920 წელს მეორედ მიემგზავრება პარიზში. ამ პერიოდში ხატავს კუბისტურ-ნატურალისტურ და ექსპრესიონისტულ სურათებს.

1922 წელს, პარიზში, ილიაზდი აარსებს ლიტერატურულ-მხატვრულ ჯგუფს „ჩერეზ“, რომელიც მიზნად ისახავდა ერთგვარი ხიდის გადებას ფრანგ და საბჭოთა ხელოვანებს შორის. ამავე წელს იბეჭდება ილიაზდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები – „ლიდანტიუ ფარამ“ (მიძღვნილი ლე-დანტიუსადმი), რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ფრანგულ დადაში. პარიზული სახელოვნებო წრეების ერთ-ერთმა დიდმა ფიგურამ – ჟან კოკტომ მას ასეთი შეფასება მისცა: „მე არ ვიცი რისგან შედგებიან ვარსკვლავები, მაგრამ თქვენი წიგნი ჭეშმარიტი ვარსკვლავია“.

ამ დროს კირილი თბილისსა და მოსკოვს შორის მოგზაურობს. აფორმებს თეატრებს (ზოგჯერ ირაკლი გამრეკელთან ერთად). მუშაობს მხატვრად თბილისის რუსთაველისა და ოპერისა და ბალეტის თეატრებში. გამოსცემს კრებულს „ნ. ფიროსმანაშვილი“.

1945 წელს კირილ ზდანევიჩი საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი გახდა, მაგრამ ამან არ უშველა – 1949 წელს, ცრუ დასმენის გამო გადაასახლეს ვორკუტაში. 1957 წელს ვადაზე ადრე გაანთავისუფლეს და თბილისში დაბრუნდა.

ილიაზდი კოკო შანელის ფაბრიკაში იწყებს მუშაობას ჯერ მხატვრად, შემდეგ – დირექტორად. 1930 წელს იბეჭდება მისი რომანი „აღტაცება“ – პოეტური მოგონებები საქართველოზე.

46 წლის განშორების შემდეგ, 1966 წელს, ძმები პირველად ხვდებიან ერთმანეთს პარიზში. ილიაზდი მეორე ცოლს ირთავს – ელენე დუარს.

1972 წელს გამოდის წიგნი „ნიკო ფიროსმანაშვილი“ – ილიაზდის ტექსტითა და პიკასოს ილუსტრაციებით. სწორედ ამ წიგნშია შესული მისი ცნობილი „ფიროსმანის პორტრეტი“...

კირილ ზდანევიჩი 1969 წელს გარდაიცვალა, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. 1975 წელს – ილია ზდანევიჩი, იგი ლევილის ქართულ სასაფლაოზე დაასაფლავეს.

დასასრული მე-10 გვერდზე

მემკვიდრეობა

ფიროსმანის ქომაგების „თბილისური ავანგარდი“

ზდანევიჩები ფიროსმანის შესახებ – მუშამბისყდიანი რვეულიდან

ილიაზდი „ფიროსმანაშვილი“ 1914 წელი (ნაწყვეტი).

„ფიროსმანაშვილის პიროვნება, ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნებაა თანამედროვე ფერწერაში, რომელიც გამოცანად გვეჩვენება... ფიროსმანაშვილი ჩემი სიზმრებისა და ოცნებების გმირია, ჩემი სამშობლოს მომღერალი, რომელმაც განმიმარტა ის სიყვარული, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩემს მრავალრიცხოვან გზებს. მარტოხელა, ბრძენი, მოუხელთებელი ერთადერთი ჯადოქარი, რომელმაც სადღაც სიღრმეში დაინახა და განმარტა ხელოვნების საიდუმლოებები, შეძლო დაენახა ის, რაც ვერავინ ვერ დაინახა.

...ფიროსმანაშვილმა უკეთ, ვიდრე ნებისმიერმა მისმა თანამედროვემ, შეძლო გადმოეცა თავისი ეპოქის ნაზი ინტონაცია; დღეობა, რომლის წარმოსადეგი სტუმრები თავად დღესასწაულს განასახიერებენ; მაგიდები, რომლებიც ბოთლების, ყველისა თუ ხილის სიმძიმეს ველარ უძლებენ; რთველი, სადაც ქარვის მარცვლები უშველებელ მტევნებად იქცევა. მეეტლეები, რომლებიც თავიანთ ნასვამ კლიენტებს მიაქანებენ სწრაფი ჭენებით; ცხენების ბანაობა მტკვარში; მობანავეების გადარჩენა; კასრებით დატვირთული ეტლები; რელიგიური პროცესია...

...ფიროსმანაშვილი არ არის რეალისტი, ამ სიტყვის საყოველთაოდ მიღებული გაგებით. სივრცე და დრო შეუზღუდავად იშლება მის კომპოზიციებში...

მისი შემოქმედება, თავიდან ბოლომდე, თავისუფლების მაჩვენებელია, რომელსაც სურათიდან სურათში დადგენილ-განსაზღვრული პორპორციების ხელყოფით აღწევს. აქ საქმე ეხება ფერწერას, რომლის უბადლო მხატვრული ღირებულება უძლებს ყოველგვარ კრიტიკას, რომლისთვისაც მიუღებელია, კლასიკური თვალსაზრისით, მის ნახატებში ფორმის დაუსრულებლობის პრობლემისა და აღმოსავლური ფაქტურის არსებობა. მისი ტილოების დეკორატიული შინაარსი, გამომსახველობითი რაკურსები ჭეშმარიტად მომხიბვლელია. როცა შეავლებ თვალს ბატარა ბიჭის პორტრეტზე ხავერდის პიჯაკს, ილიაზდის კოლექციიდან, ვეღარასოდეს დაივიწყებ მას. ეს არის მომნუსხველი თვალის მქონე ფუნჯის მონასმის დიდება.

ფიროსმანიშვილი დაბადებულია კოლორისტად, დიდოსტატად დიდოსტატთა შორის. როგორ უნდა განისაზღვროს მისი შემოქმედება, აიხსნას მისი წარმოშობა. მისი სათავეები ძალიან ადრეულ წარსულშია საძიებელი. კიდევ ერთხელ უნდა ვიკითხოთ, ამ გაგანია დეკადანსის დროს მებაღის ვაჟმა როგორ მოახერხა, შეექმნა ეს უგემრიელესი ხილი, ნაყოფი. როგორ მიაღწია იმას, რომ ჩვენ ასეთ დღესასწაულზე მივეწვიეთ ან აღმოცენებინა ქვიშის უდაბნოში ამგვარი ოაზისი, სადაც ლეღვის ხეები დახუნძლულია მწიფე ნაყოფით. არაერთხელ მოგვეცემა საშუალება, შევხვდეთ თანამედროვე ხელოვნების ბრძოლებში გამობრძმედილ ადამიანებს, რომლებსაც მოუწიათ თბილისზე გავლა, ისინი ამბობენ, რომ ამ ქალაქში იხილეს უნიკალური განძი და მას შემდეგ, ყოველთვის, როცა კი ბედი იქ დაბრუნების ბედნიერებას არგუნებს, სიხარულით, მოუთმენლად და აღტაცებით ელიან იმ წამს, როდესაც კიდევ ერთხელ იხილავენ ფიროსმანაშვილის ხელოვნებას.“



პიკასო და ილიაზდი

* * *

კირილე – „ნიკო ფიროსმანი“ 1963 (ნაწყვეტი)

„...ერთ საღამოს,1912 წლის ზაფხულის დასაწყისში, მოხდა ის, რაც დღემდე მაღელვებს, მახარებს და მათბობს. მე ვიხილე იდუმალი მხატვრის ნამუშევრები, რომლებმაც შეგვძრეს მე ჩემი მეგობარი ლე დანტიუ და ჩემი ძმა ილია. მანამდე თიხის რამდენიმე მშვენიერ ნაკეთობას მივაგენით, რომელზეც ძველი ხელოვნების კვალი შეიმჩნეოდა... მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, ჩვენ ვეძებდით უფრო მნიშვნელოვანს, გვეჩვენებოდა, რომ ამ თვითმყოფად ქალაქში, სადაც ამდენი სინათლეა, სადაც ამდენი ნიჭიერი ხალხია, აღმოვაჩენთ დიდ ხელოვნებას. საღამო ხანს ქალაქში ხეტიალისას, მივუახლოვდით ვაგზლის მოედანს, რომელიც უკვე საღამოს სილურჯეში ჩაძირულიყო. ფარნები ანათებდნენ აბრებს, ჩვენი ყურადღება დუქან „ვარიაგის“ აბრამ მიიპრო, რომელზეც საზღვაო ბრძოლა იყო გამოსახული. კრეისერი, რომლის საპატივცემულოდ იყო დაწესებულების სახელი შერჩეული, სწრაფად მისრიალებს ზღვაზე, ყველა მილიდან კვამლის ბოლქვებს უშვებს და მტერს ცეცხლს უშენს. იარაღის ლულებიდან ცეცხლის ალი იფრქვევა, მრგვალი ბოლქვები ცისკენ მიფრინავს, მღელვარე ტალღები კი აბრის ჩარჩოს ეხეთქება. შევედით და დავინახეთ, კედლებზე უწესრიგოდ მიმოკიდებული სურათები, ნახევრად ბნელ დუქანში ისინი ცუდად ჩანდნენ, მაგრამ თანდათან თვალებმა შეჩვევა დაიწყეს... დიდებული და ზორბა მამაკაცი გრძელი ულვაშებითა და მაღლა აწეული ყანწით ხელში, დიდრონი შავი თვალებით მკაცრად გვიმზერდა. მისი თვალების სიშავე ხაზგასმული იყო შავი წარბებით, თეთრი სახე ღია ლურჯი ცის ფონზე ანათებდა. ჩვენ ვიხილეთ ფერწერა, რომლის მსგავსი ადრე ამდაგვარ დაწესებულებებში არ გვინახავს. ბუზებით მოსვრილი ოლიოგრაფის ნაცვლად, ასეთი განსაცვიფრებლად ლამაზი და მოხდენილი სურათები! ხარბი ცნობისმოყვარეობითა და სიხარულით მივაშურეთ სხვა სურათებს და ჩვენ შეგვეგება მწყემსი შავ სამოსსა და აგრეთვე ნაბადში, ყაბალახითა და ხანჯლით. წითელი ფონი კონტრასტულად გამოყოფდა შავ ფიგურას, ერთ ხელში მწყემსს ბოლომოკაუჭებული არგანი უჭირავს, მეორეში კი აბოლებული ყალიონი. თუ კარგად დააკვირდებოდი, მიხვდებოდი, რომ შავი ფერი საღებავით დაუფარავი მუშამბაა. დიდ ოსტატობას უნდა ფლობდე, ასე რომ იმუშაო. როგორი გამომსახველი იყო ნახატი! შემდეგ და შემდეგ კიდევ გამოჩნდა მუქი ტილოები, ბუნების განსაცვიფრებლად ღრმა ცოდნითა და ძალით. აი, ქართველი ქალი, ძველებურ ეროვნულ კაბაში, თავზე უნაზესი და კეკლუცი თავსაბურით, რომელსაც ლეჩაქს უწოდებენ. ერთ ხელში დაირა უჭირავს, მეორეთი ის თითქოს მკერდზე მჯდარ ჩიტს ეფერება. ორი ალისფერი ბაფთა წელიდან თითქმის იატაკამდე ეშვება. მათთვის ზედმიწევნით ზუსტი ადგილია შერჩეული და თავისი ფერით მთელი სურათი უჭირავს. ქართველი ქალის ცოცხალი თვალები ღიმილითაა განათებული. სურათი დაწერილია ძალიან ეკონომიურად და უკიდურესად გამომსახველად. უცნობმა მხატვარმა ოსტატის ძლიერი ხელით ძალდაუტანებლად და ბუნებრივად შექმნა ჰარმონიული, უბრალო და ორიგინალური ნაწარმოებები. ასეთი სურათები არსად გვინახავს და როგორც მონუსხული მაძიებელნი, თვალი ვერ მოვწყვიტეთ პირველივე შეხედვისთანავე ამ განსაცვიფრებელ ნამუშევრებს.

თვითნასწავლი მხატვარი – შეიძლება სწორედ ამიტომაც შეინარჩუნა მან აღქმის უშუალობის სისუფთავე და შექმნა თავისებურად განუმეორებელი სურათები. ზუსტი და მკაფიო ფორმები, გამომსახველი და თითქოს გულუბრყვილო კომპოზიცია, განსაკუთრებული ორიგინალური ფერთა გამა მეტყველებდა განსაცვიფრებელ ტალანტზე. მუშამბის შავ ფონზე ციალებდა ნაცრისფერი, ინტენსიური წითელი, ლურჯი და თეთრი ფერები. ყვითელი ფერი ხან ნათელი, ხან კი ჩამქრალი შესანიშნავად აცოცხლებს შავ, მუქ მწვანე და ლურჯ ფერებს. მსუბუქი შტრიხებით შემოხაზული ფორმები მოცულობითი, ლაკონური და ძლიერია. შესრულების თავისუფლებამ და ფუნჯის სიმსუბუქემ გაგვაოცა ჩვენ, ფერწერის ხელოვნებაში განაფულნი. ჩვენ ვიდექით ფენომენალური მოვლენის წინაშე. ჩვენ ისეთი რამ ვიხილეთ, რაზედაც ვერც კი ვიოცნებებდით... ადამიანთა გამოსახულების ფერი, თავისუფლება და ბუნებრიობა მეტყველებდა მხატვრის დაკვირვებასა და უნარზე, მის პროფესიონალიზმსა და თავისებური ტექნიკის ოსტატურ ფლობაზე. ხელოვნებით გაკეთილშობილებულმა, ჩვენთვის ახალმა სამყარომ უჩვეულო, თითქმის, ზღაპრული განცდა დავგიტოვა. ეს იყო ფუნჯის მეშვეობით სამყაროს პოეტური აღქმა. მიხეილ ლე დანტიუმ, რომელიც სურათებს უკვე ნელ-ნელა შეეთვისა და შეეჩვია, თქვა: ეს თანამედროვე ქართველი ჯოტოა. ილიამ უპასუხა: შეხედეთ, ამ მხატვრის ნამუშევრებში თავისუფლად შეიძლება გამოავლინოთ ძველი ხელოვნების მემკვიდრეობითობა. წასვლის დროც დადგა. ...უკანასკნელად მზერას ვესვრით ნიკოს საყვარელ გმირთა პორტრეტებს, რომლებიც გაბედულად და შთამბეჭდავადაა დაწერილი.

... უკაცრიელ ქუჩებს მივუყვებით მხიარულნი და აღელვებულნი, ჩვენ ხომ ახალი აღმოჩენის, შეხვედრებისა და მონაპოვრების ზღურბლზე ვდგავართ და კიდევ დიდხანს, დილამდე, ცხარედ განვიხილავთ ჩვენთვის უცნობი მხატვრის მოძებნის გეგმას. ვკამათობთ იდუმალი ნიკოს შემოქმედების შესახებ. გადავწყვიტეთ, შევადგინოთ მისი ნამუშევრების კატალოგი. ჩავიწეროთ მუშამბისყდიან რვეულში ყველაფერი, რასაც მხატვრის შესახებ შევიტყობთ.“

2009 წლის შემოდგომის ყველაზე შთამბეჭდავი ექსპოზიცია

ძმები ზდანევიჩების გამოფენა საფრანგეთის კულტურის ცენტრის, ეროვნული მუზეუმის, ზდანევიჩების შთამომავლებისა და თბილისის სააუქციონო სახლის ერთობლივი პროექტია, რომლის იდეა კირილე ზდანევიჩის ერთ-ერთ შთამომავალს, მხატვარ ყარამან ქუთათელაძეს ეკუთვნის. ქართველ დამთვალიერებელს პირველად ეძლევა შესაძლებობა ამ ადამიანების მნიშვნელობის აქა-იქ ყურმოკრული, გაგონილი დეტალები ერთად თავმოყრილი იხილოს. დღესაც, როგორც გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოდან დიდი იმედებით წასული ორი თბილისელი ნიჭიერი ახლგაზრდა სულ სხვა საქართველოში დაბრუნდა, იგივე გამეორდა, მხოლოდ ერთი განსხვავებით – ზდანევიჩები ახლა სასურველი სტუმრები არიან, მაშინ ერთ-ერთი მათგანი რეპრესიების სამიზნედაც კი იქცა. 90-იანი წლების გამოფენა კი შეიძლება „უიღბლოდ“ ჩავთვალოთ, რადგანაც ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში ტრაგიკულ თარიღად შევიდა... ექსპოზიცია, რომელიც ხელოვნების მუზეუმში ერთი თვე გასტანს, ქართული ავანგარდული სულის მაძიებლების ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალითაა წარმოდგენილი – ორმოცდაათამდე ნამუშევარი „კლუბ ილიაზდის“ პრეზიდენტის, ფრანსუა მერეს (საფრანგეთი) და საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავებიდან: ჩარჩოში ჩასმული წიგნის გვერდები, ილუსტრაციები, ფოტოები... შანელის სახლისთვის შექმნილი ესკიზები, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ტაძრის გეგმები, კირილე ზდანევიჩის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, საარქივო მასალა – აფიშები, გაზეთები... ექვთიმე თაყაიშვილის წერილი ილიაზდისადმი. შემოდგომის ყველაზე შთამბეჭდავი ექსპოზიცია ორი ქართველი ხელოვანის – ძმები ზდანევიჩების განსაცვიფრებელ მხარეებს აჩვენებს და დამთვალიერებელს შესაძლებლობას აძლევს, დააკვირდეს საფრანგეთსა და საქართველოს შორის არსებულ შემოქმედებით კავშირებს, გაიცნოს – XX საუკუნის „თბილისური ავანგარდი“.

ლალი ჯელაძე

საზაფხულო სკოლა

დაუვიწყარი ოცი დღე

წლევანდელი ზაფხული განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო სკოლა „სარკმელის“ თერთმეტი მოსწავლისთვის – ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საზაფხულო სკოლაში მათ დაუვიწყარი ოცი დღე გაატარეს, ინგლისური ენის ცოდნა გაიღრმავეს და უამრავი მეგობარი შეიძინეს. თუ როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ საზაფხულო სკოლიდან და როგორი იყო სასკოლო ცხოვრება, ამის შესახებ მათ სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უამბეს. ღონისძიებაზე სტუმრად მოიწვიეს წყალტუბოს საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი, ბატონი კობა გრძელიშვილი, პედაგოგები – ნათია ვაჟენსკაია და თამარ დეკანოსიძე, ლიდერები – ქეთი მეტრეველი, ვახო ნასარიძე, თაკო გაბაიძე, ანა მკლავიშვილი. წარმოადგინეს საბანაკო ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები და ვიდეოფილმი. შეხვედრამ საინტერესოდ და მხიარულად ჩაიარა. ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს მოწვეულ სტუმრებს იმ ამაგისათვის, რაც მათ გასწიეს, რათა ბანაკში გატარებული ოცი დღე უსაფრთხო, ნაყოფიერი, საინტერესო და დაუვიწყარი ყოფილიყო.

* * *

2009 წლის აგვისტო ქართულ-ბრიტანულ საზაფხულო სკოლაში გავატარე. ეს ოცი დღე ჩემთვის დღემდე დაუვიწყარია.

ასეთი სახის სკოლაში პირველად მოვხვდი. თავდაპირველად, ჩემთვის ყველაფერი უჩვეულო იყო, თუმცა სკოლის რეჟიმისა და წესების დამორჩილება არ გამჭირვებია. სკოლის პროგრამაში შედიოდა ინგლისური ენის სწავლება. გაკვეთილები ძალიან საინტერესოდ და სახალისოდ მიმდინარეობდა. მოსწავლეები დაყოფილი ვიყავით კლასებად და გაკვეთილები ყოველთვის ინგლისურ ენაზე გვიტარდებოდა. განსაკუთრებით მიყვარდა გაკვეთილების მესამე ნაწილი „slice” of Britain – რომელზეც ბრიტანეთის კულტურას, ისტორიას, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს ვეცნობოდით. გაკვეთილების შემდეგ გვქონდა სხვადასხვა სახის აქტივობები, როგორც სპორტული, აგრეთვე ინტელექტუალური თამაშები. ბავშვები ხშირად ვბუზღუნებდით და უკმაყოფილოები ვიყავით, რადგან მცირე დრო გვრჩებოდა talent show-ებისთვის მოსამზადებლად – თითოეულ ჯგუფს საკუთარი ნომერი უნდა წარმოედგნა. ეცეკვა, ემღერა და წარმოდგენები დაედგა. ბანაკში მუდამ მხიარული ატმოსფერო სუფევდა. ბავშვებისთვის ყველაზე მხიარული ჭამის პროცესი იყო, როცა ერთ დიდ სასადილოში შევიკრიბებოდით და ბანაკის ყოველდღიურ ამბებზე ვჭორაობდით.

თავდაპირველად, მეგონა ოცი დღე გაძლება ძალიან გამიჭირდებოდა, მაგრამ შევცდი. ეს ოცი დღე ისე გავიდა, თითქმის, ვერც შევამჩნიე. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ ბანაკში შევიძინე, ახალი ურთიერთობები და ახალი მეგობრებია. ამ სკოლის გავლის შემდეგ უფრო კომუნიკაბელური და უკომპლექსო გავხდი. სკოლაში ერთი წუთითაც არ გვქონდა მოდუნების საშუალება, მუდამ დატვირთულები, დაკავებულები და შემოქმედებით პროცესში ჩაფლულები ვიყავით. ბანაკში ყველა პირობა იყო შექმნილი იმისთვის, რომ საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოგვევლინა.

ჩემს შთაბეჭდილებებზე, ალბათ, უსასრულოდ შემიძლია ვისაუბრო, მაგრამ აქ შევჩერდები და ვიტყვი, რომ თავს ამაყ და ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ, რადგან შესაძლებლობა მომეცა, ასეთი ტიპის ბანაკში მოვხვედრილიყავი, შემეძინა უამრავი მეგობარი და ჩამოვყალიბებულიყავი ისეთ პიროვნებად, რომელსაც საკუთარი აზრის გამოთქმის, ახალი ურთიერთობების და საზოგადოებაში თავის დამკვიდრების შიში აღარ აქვს.

თამთა სებისკვერაძე

ჩემთვის ეს ბანაკი ბევრის მომცემი იყო. პირველ რიგში, შევიძინე უამრავი ძალიან საინტერესო, განათლებული, წარმატებული, აქტიური და საყვარელი მეგობარი.

ასევე, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე, რაც მთავარია, მივეჩვიე ოჯახისგან შორს, დამოუკიდებლად ცხოვრებას. ვისწავლე საერთო ენის გამონახვა განსხვავებული აზროვნების, ხასიათის, შეხედულებისა და გემოვნების მქონე ადამიანებთან, მათთან ახლო ურთიერთობის დამყარება და დამეგობრება.

რაც მთავარია, ჩემთვის უსაყვარლესი მასწავლებლებისა და ლიდერების მეშვეობით, ინგლისური ენის ცოდნის დონე ავიმაღლე.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკმაოდ კონკურენტუნარიან გარემოში გვიწევდა ყოფნა, რაც მიმაჩნია, რომ განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია.

იმდენად ფასეული და ღირებულია ჩემთვის ეს ყველაფერი, რომ სიმართლე გითხრათ, ძალიან მიჭირს ამ ყველაფრის მოკლედ და თითო წინადადებით გადმოცემა, რადგან გრძნობები და ემოციები გაცილებით მეტია.

მე არასდროს დამავიწყდება ამ ბანაკში გატარებული 21 დღე და ჩემი ცხოვრების წიგნში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ გვერდზე დიდი და ლამაზი ასოებთი ჩაიწერება ეს ინგლისური საზაფხულო სკოლა.

ნინო ჩიკვატია

მაისის თვეში გავიგეთ, რომ წყალტუბოში ინგლისურ საზაფხულო სკოლაში მივდიოდით. მთელი ზაფხული სულმოუთმენლად ველოდებოდი, როდის მოვიდოდა 5 აგვისტო, რომ „მინი-ბრიტანეთში“ წავსულიყავი.

ჩავედით წყალტუბოში. ჩვენი ავტობუსი სანატორიუმ „ოაზისთან“ გაჩერდა. ძალიან თბილად მიგვიღეს და ოთახებში გაგვანაწილეს.

მეორე დღიდან ძალიან საინტერესო და სახალისო გაკვეთილები დაგვეწყო.

ყველას უყვარდა სასადილოში შესვლა, სადაც საზაფხულო სკოლის ყველა მონაწილე ერთად იყრიდა თავს.

საღამოობით სპორტული თამაშები იმართებოდა, ფრენბურთისა და კრიკეტის თამაში ვისწავლე.

„მინი-ბრიტანეთის“ საზაფხულო სკოლიდან ძალიან დადებითი ემოციებთი დატვირთული წამოვედი, ბევრი მეგობარი შევიძინე, რომლებთან განშორებაც გამიჭირდა.

სამწუხაროა, რომ ასეთ სკოლაში ვეღარ მოვხვდები, რადგან უკვე მეთორმეტე კლასში ვარ.

ანა მაისურაძე

მე ვიყავი წყალტუბოს საზაფხულო სკოლის III ნაკადში. როდესაც გავიგე, ბანაკში რომ მივდიოდი, ძალიან გამიხარდა. მთელი ზაფხული ველოდი, ბანაკში წასვლის დრო როდის მოვიდოდა. იქ უბედნიერესი სამი კვირა გავატარე, შევიძინე უამრავი მეგობარი. გავიუმჯობესე ინგლისურის ცოდნა, გავხდი კომუნიკაბელური და ვისწავლე დროის სწორი განაწილება, რომ შეიძლებოდეს, მომავალ წელსაც დიდი სიამოვნებით წავიდოდი.

ნინო აფრასიძე

საზაფხულო სკოლაში გატარებული ოცი დღე საუკეთესო დრო იყო ჩემს ცხოვრებაში. არასოდეს დამავიწყდება ის განცდები, ემოციები და შთაბეჭდილებები, რაც ამ ბანაკმა დატოვა ჩემში.

ოცი დღე ას ერთი ბავშვი „მინი-ბრიტანეთში“ ვცხოვრობდით. ამ ხნის განმავლობაში, ყოველდღიურად, გვიტარდებოდა ინგლისურის გაკვეთილები. ამით ძალიან დიდი შანსი მოგვეცა, გაგვუმჯობესებინა ჩვენი ცოდნა ინგლისურ ენაში. უფრო მეტი რამ გავიგეთ ბრიტანეთის, მისი კულტურისა და ტრადიციების შესახებ. ბავშვებს ერთმანეთის უკეთ გაცნობაში სხვადასხვა სახის სპორტული თუ ინტელექტუალური თამაშები გვეხმარებოდა. ვისწავლეთ ინგლისელ დიდგვაროვნების თამაში „კრიკეტი“.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ უამრავი მეგობარი შევიძინე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ოცი დღე დამოუკიდებლად, რეჟიმში ცხოვრება დიდი გამოცდილება იყო თითოეული ჩვენგანისთვის. ბანაკი დაგვეხმარა გავმხდარიყავით უფრო კომუნიკაბელურები, უფრო თამამი და გამბედავები.

ნაია ჩინჩალაძე

2009 წლის ზაფხული მეტად განსხვავებული და ორიგინალური აღმოჩნდა ჩემთვის იმით, რომ ზაფხულის სამი დაუვიწყარი კვირა წყალტუბოს სანატორიუმ „ოაზისში“ გავატარე.

როდესაც წყალტუბოში ჩავედი, განწყობა მაშინვე შემექმნა. სანატორიუმის შესასვლელში, კედელზე დიდი ასოებით ეწერა – „Welcome to mini Britain“, მივხვდი, რომ სავსებით განსხვავებულ გარემოში აღმოვჩნდი. მისაღებში რეგისტრაცია გავიარე და დაახლოებით ნახევარ საათში უკვე ჩემს ოთახში ვიყავი.

წყალტუბოში გავიცანი არაჩვეულებრივი ადამიანები, რომლებთანაც დღემდე ახლო ურთიერთობა მაქვს და ეს მომავალშიც გაგრძელდება.

3 აგვისტოს სახლში დავბრუნდი, ემოციებითა და შთაბეჭდილებებით დატვირთული. ძალიან მინდოდა, ჩემი განცდები ყველასთვის გამეზიარებინა. ვიყავი ბედნიერი და, ამავე დროს, სევდიანი, რადგან ვიცოდი, ძალიან მომენატრებოდა სანატორიუმში გატარებული ოცი დღე.

დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 2009 წლის ზაფხულის სამი კვირა, რომელიც 14 ივლისს დაიწყო და 3 აგვისტომდე გაგრძელდა, ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი ხანა იყო, რომელიც არასოდეს დამავიწყდება.

თეონა კვინიკაძე

კერძო სკოლა „სარკმელის“ XII კლასის მოსწავლე ვარ და საზაფხულო არდადეგების 20 დღე წყალტუბოს ინგლისურენოვან სკოლა-ბანაკში გავატარე. ეს ჩემთვის დაუვიწყარი 20 დღეა, რომელმაც უამრავი მეგობარი, ძვირფასი ადამიანი, ცოდნა და გამოცდილება შემძინა. დღესაც აქტიური ურთიერთობა მაქვს ბანაკის ბავშვებთან და ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება, მეც ერთ–ერთი მათგანი ვყოფილიყავი და ამ პროექტში მოვხვდი.

პირველი, რამაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, ის უზარმაზარი და ძალიან ლამაზი შენობა იყო, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. ყველაფერი ისე იყო მოწყობილი და დაგეგმილი, რომ თავი მართლაც ბრიტანეთში მეგონა.

ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტია. საკუთარ თავზე გამოვცადე და თამამად შემიძლია ამის თქმა, რადგან ვიცი, წყალტუბოს ბრიტანული საზაფხულო ბანაკი არასოდეს, არასოდეს დამავიწყდება. მისი დახმარებით გამოცდილება და მეტი თავდაჯერებულობა შევიძინე, უკეთ ვისწავლე დამოუკიდებლობა და მიზნისთვის ბრძოლა.

მადლობელი ვარ პროექტის ხელმძღვანელების. მათი დახმარებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მყავს მეგობრები და ჩვენ British summer camp გვაკავშირებს.

მარიამ გვირჯიშვილი

მე ვიყავი წყალტუბოში, იქ ძალიან კარგი ბუნება და გარემოა. შევიძინე უამრავი მეგობარი, გავიცანი ძალიან ბევრი ჭკვიანი ბავშვი.

თავიდან ჯგუფებად დაგვყვეს, ჯგუფების სახელები „ჰარი პოტერის“ გმირების სახელების მიხედვით დაგვარქვეს.

დღეში ოთხი საათი ინგლისურს ვსწავლობდით, რამაც დიდი გამოცდილება შემძინა, ასევე იყო სპორტული ჩემპიონატები. ფეხბურთში ჩემმა გუნდმა გაიმარჯვა.

ბანაკში ყოველდღე ვმართავდით ჩვენებებს, რამაც ჩემში ცეკვის ნიჭი აღმოაჩინა.

ვიყავით სათაფლიაში, სადაც ძალიან კარგი დრო გავატარეთ.

ბანაკში ყოფნის დრო ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში. იმედი მაქვს კიდევ მოვხვდები საზაფხულო ბანაკში.

დავით აფრასიძე

2009 წლის ზაფხულში მოვხვდი, წყალტუბოში, „ინგლისურ საზაფხულო სკოლაში“ სკოლა 14 ივლისს დაიწყო და 21 დღე გაგრძელდა. იქ ყოფნის დროს ვსწავლობდით ინგლისურს გაძლიერებული სისტემით, გვქონდა საღამოს აქტივობები და სხვ. ეს 21 დღე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ ულამაზეს მოგონებად დარჩა. ამ სკოლამ შესაძლებლობა მომცა 21 დღე დამოუკიდებლად მეცხოვრა და არაჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობა მქონოდა. გვყავდა ძალიან კარგი ლიდერები და მასწავლებლები, ასევე, გვყავდა ბრიტანელი ხელმძღვანელი, რომელთანაც ინგლისურად გვიწევდა საუბარი. მთელი დღის განმავლობაში ინგლისურად ვსაუბრობდით, რაც ჩვენთვის დიდი პრაქტიკა და გამოცდილება იყო. ამ სკოლამ დიდი გავლენა იქონია ჩემს ცხოვრებაზე და დიდი გამოცდილება მომცა, ასევე შევიძინე ბევრი მეგობარი. 3 აგვისტოს საზაფხულო სკოლა დასრულდა, რამაც გული ძალიან დამწყვიტა. იქ ყოფნის დღეები არაჩვეულებრივი და ენით აღუწერელი იყო. ბედნიერი ვარ, ამ სკოლაში რომ მოვხვდი.

სოფიკო მეტრეველი

ამ ზაფხულს წყალტუბოს საზაფხულო ბანაკის III ნაკადში ვიყავი. თავდაპირველად, როდესაც გავიგე, რომ ამ ბანაკში უნდა წავსულიყავი, ძალიან გამიხარდა, რადგან ეს იყო შანსი, გამეუმჯობესებინა ჩემი ინგლისურის ცოდნა, შემეძინა ბევრი მეგობარი და გამომეცადა თავი, როგორ შევძლებდი დამოუკიდებლად ცხოვრებას. ასეთი მოლოდინით, 5 აგვისტოს, გავემგზავრე წყალტუბოს მიმართულებით. მივადექით სანატორიუმ „ოაზისს“ და აი, გაიღო ჭიშკარი. ამ ჭიშკრის შიგნით გველოდებოდა სრულიად უცხო და ძალზე საინტერესო სამყარო. აქ ყველაფერი განსხვავებული, მაგრამ მიმზიდველი და შთამბეჭდავი იყო. რაც პირველად დავინახე ჩემ დროებით სამყოფელში, იყო ამ უცნობი სამყაროს სახელი Mini Britain (პატარა ბრიტანეთი). თავდაპირველად ვერ მივხვდი, თუ რატომ უნდა ყოფილიყო ასეთი წარწერა საქართველოში არსებული სანატორიუმის შენობაზე, მაგრამ როდესაც შევედი Mini Britain-ში და დავათვალიერე, კიდევ ერთხელ წავიკითხე შენობაზე ლამაზად გაფორმებული წარწერა და ყველაფერი ნათელი გახდა. ეს დიდ საქართველოში პატარა ბრიტანეთი იყო, სადაც ყველაფერი ზუსტად ისე ხდებოდა, როგორც დიდ ბრიტანეთში. სწორედ ასე, ბრიტანული ყოფით, ძალზე სწრაფად და მხიარულად გაირბინა 20-მა დაუვიწყარმა დღემ, თუმცა ამ 20 დღის განმავლობაში შევძელით, შეგვეძინა უამრავი მეგობარი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, გაგვეუმჯობესებინა ჩვენი ინგლისურის ცოდნა და, რაც მთავარია, გამოგვეცადა ჩვენი თავი სხვადასხვა სპორტულ თამაშებში.

ბანაკში არაჩვეულებრივად ვატარებდით დროს, მაგრამ როგორც ყველაფერს დედამიწაზე, დასასრული ჰქონდა. მის დასრულებას თან მოჰყვა უამრავი ცრემლი და სევდა, თუმცა ბავშვების აცრემლებულ თვალებში საზაფხულო სკოლაც იკითხებოდა, როგორ შეუყვარდათ ბანაკი და რაოდენ უჭირდათ მასთან განშორება.

სახლში დაბრუნებული მივხვდი, რამდენი რამ შემძინა ბანაკმა – ბევრი მეგობარი და უამრავი კარგი მოგონება, ასევე, შევძელი უკეთესად მესწავლა ინგლისური, გავხდი უფრო დამოუკიდებელი და თამამი. ეს ყველაფერი კი იმ ადამიანების დამსახურებაა, ვინც გვასწავლიდა და გვეხმარებოდა ბანაკში – ჩვენი მასწავლებლებისა და ლიდერების. მინდა მადლობა გადავუხადო მათ და კიდევ იმ ადამიანებს, ვინც დაგეგმეს და განახორციელეს ეს არაჩვეულებრივი პროექტი. ალბათ, მე ვეღარ შევძლებ ამ პროექტში შემდგომ მონაწილეობას, მაგრამ მაინც ძალიან გამიხარდება, თუ ეს კარგი წამოწყება არსებობას არ შეწყვეტს და კიდევ მრავალ ბავშვს მისცემს საშუალებას, საკუთარი ძალები გამოსცადოს და გაიუმჯობესოს ცოდნა.

ბექა ქარქუსაშვილი

სპორტი

უფროსებს არ მეუმინდნენ

მძლეოსნობაში **ლაშა ღულელაურის** წარმატებებს იმდენად მივეჩვიეთ, აღარც გვიკვირს – ეს თითქოს ჩვეულებრივ ამბად გვეჩვენება, მაგრამ ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მოსწავლე ისეთ შედეგებს აჩვენებს, ძალაუნებურად გაგიკვირდება. გასულ უქმეებზე თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონმა საქართველოს საშემოდგომო ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც ლაშამ ორი ოქროს მედალი მოიპოვა – სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში, მაგრამ გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც – ღულელაურმა სამხტომში ქვეყნის ახალგაზრდული რეკორდი სამჯერ გააუმჯობესა! აღსანიშნავია, რომ ძველი შედეგიც – 15,17 მასვე ეკუთვნოდა. ამჯერად ეს მაჩვენებელი პირველივე ცდაზე მოხსნა – 15, 28, მერე კიდევ ორჯერ გააუმჯობესა, ვიდრე 15,42-მ-მდე არ გაზარდა. აქ ისიც შევნიშნოთ, რომ ეს ქვეყნის ეროვნული პირველობა იყო და არა ახალგაზრდული ჩემპიონატი. ღულელაურმა პირველობა არც მეორე დისციპლინაში – სიგრძეზე ხტომაში დაუთმო ვინმეს და 7,15 მ-ით გაიმარჯვა.

ღულელაური მძლეოსნობის აქაური მოყვარულებისთვის თუ ნაცნობი სახეა, აქამდე სრულიად უცნობი იყო 14 წლის ქუთაისელი **სალომე სირაძე**, რომელიც სპეციალისტებისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. სირაძემაც ასევე ორ დისტანციაზე გაიმარჯვა – 100 მეტრი 12,8-ში გაირბინა, 200 – 27,4-ში. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება მისმა პირველმა შედეგმა მიიპყრო – ამ ასაკში ეს ნამდვილად არაა ურიგო შედეგი.

ჩემპიონატი საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა – 19 რაიონის ნაკრები მონაწილეობდა. ურიგოდ არც სხვა პერსპექტიული ახალგაზრდები გამოსულან, თუმცა მათი ნაწილი ამჯერად პრიზიორებში ვერ მოხვდა. თან, არც ერთს მიუპყრია სპეციალისტთა იმხელა ყურადღება, რამდენიც ღულელაურსა და სირაძეს ერგოთ.

ამავე ჩემპიონატის ფარგლებში საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ, მთელი წლის შედეგების გათვალისწინებით, სეზონის საუკეთესო სპორტსმენებიც დაასახელა. ქალთა შორის საუკეთესოდ, ამერიკაში მოვარჯიშე, 19 წლის ბირთვის მკვრელი **მარიამ ქევხიშვილი** დაასახელეს, რომელმაც მძლეოსნობის სამშობლოდ ქცეულ აშშ-ის სტუდენტურ ლიგასა თუ ეროვნულ პირველობაში რამდენიმე საყურადღებო ტურნირი მოიგო.

ამბროლაურმა და სალარაძემ ერთმანეთს უმასპინძლეს

ამბროლაურის საჭიდაო დარბაზმა მეექვსედ უმასპინძლა ამ კუთხის სახელოვანი ფალავნის, მსოფლიოს ორგზისა და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ **გურამ საღარაძის** სახელობის რეს-პუბლიკურ ტურნირს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორის. სხვა ტურნირთა მსგავსად, ამ შეჯიბრებამაც პატარების ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია – 180 ნორჩი ფალავანი ჭიდაობდა ქვეყნის 14 ქალაქიდან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეს ჭაბუკებისთვის ერთ-ერთი შესარჩევი შეჯიბრებაა საგაისო ნაკრების დასაკომპლექტებლად და მასში გამარჯვება ნაკრებისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯია.

ცხადია, ტურნირის საპატიო სტუმარი თავად ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი იყო, თუმცა ამბროლაურს სხვა ცნობილი სპორტსმენებიც ეწვივნენ – ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი **თეიმურაზ აფხაზავა**, ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, და ასევე ამ კუთხის შვილი, **თამაზ ბენდიანიშვილი**, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **ნუგზარ სხირელი** და სხვები. საღარაძემ გამარჯვებული პატარები საკუთარი წიგნით – „მემკვიდრეობა“ დააჯილდოვა, თვითონ 70 წლის ფალავანს კი რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციამ წმინდა გიორგის ხატი უსახსოვრა.

ჭაბუკთა ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივით ფრთაშესხმულმა პატარებმა სტუმრებს ისეთი ჭიდაობა შესთავაზეს, ეს მრავლისმნახველი ფალავნებიც კი გააკვირვეს. საყურადღებოა, რომ მედლები ყველა გუნდზე გადანაწილდა, რაც უთუოდ მისასალმებელი ფაქტია. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი ელბაქიძე** (23 კგ, ამბროლაური), **შოთა დეკანაძე** (26, აჭარა), **თორნიკე ცხვირავაშვილი** (29, ამბროლაური), **ნიკო კენჭაძე** (32, ამბროლაური), **ირაკლი მხეიძე** (35, აჭარა), **რამაზ ზოიძე** (38, აჭარა), **გოგა კაპანაძე** (42, თბილისი), **გელა ცოციაშვილი** (46, თბილისი), **გიორგი რევაზიშვილი** (50, თბილისი), **რევაზ კვირიტიძე** (54, აჭარა), **ომარ გურჯიძე** (58, ქუთაისი), **გიორგი კირკიტაძე** (63, ხარაგაული), **შალვა ჭადაშვილი** (69, თბილისი) **ანზორ მახარაშვილი** (76, გორი), **დავით უროტაძე** (85, ქუთაისი), **გენო პტრიაშვილი** (+85, გორი). როგორც ტურნირის დასრულების შემდეგ გაირკვა, გურამ საღარაძის ყველაზე დიდი მოწონება მასპინძელმა, ნიკო კენჭაძემ დაიმსახურა – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა საკუთარი სახელობის პრიზი მას გადასცა. პერსონალური პირიზით დაჯილდოვდა მძიმე წონაში გამარჯვებული **გენო პეტრიაშვილიც**, როგორც შეჯიბრების ყველაზე ძლიერი მოჭიდავე. საღარაძემ მას ბიძამისის, ცნობილი მწვრთნელის – იორამ საღარაძის სახელობის პრიზი გადასცა.

ტურნირი იმდენად კარგად იყო ორგანიზებული და სპორტული თვალსაზრისითაც იმდენად მაღალი დონის გამოდგა, გამოითქვა სურვილი, რომ გაისად უკვე საერთაშორისო მასშტაბით ჩატარდეს.

ანაპიდან ოთხი ბრინჯაოთი

ამ დღეებში რუსულმა ანაპამ მოსწავლე მოკრივეთა შორის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. რუსეთთან გართულებული მიმოსვლის მიუხედავად, ანაპაში ჩვენი ნაკრები 7 სპორტსმენით მაინც გაემგზავრა. სასიხარულოა, რომ მათი უმრავლესობა – 4 მოკრივე ტურნირის მედალოსანი გახდა. ცოტა გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ ოთხივე მედალი ბრინჯაოსია და არც ერთი არაა უკეთესი ხარისხის, მაგრამ ასეთი რანგის ტურნირზე ესეც კარგი მაჩვენებელია. თანაც, ქართული კრივისთვის, რომელიც პოლიტიკური ძნელბედობით გამოწვეული ჩავარდნის შემდეგ თანდათან იკრებს ძალებს. ეს ახალგაზრდებიც მისი ხვალინდელი სახეა. ევროპის პრიზიორები შუახეველი **გიორგი ამაღლობელი** (40), გურჯაანელი **დავით ფურცელაძე** (76), ქუთაისელები: **ჯემალ შალამბერიძე** (50) და **ირაკლი ქათამაძე** (65) გახდნენ.

ეს ბიჭები, როგორც მათი თანატოლები, მხოლოდ ახლა იწყებენ დიდ კარიერას და, იმედია, ახლო მომავალში ბევრად უფრო სოლიდურ ტურნირებში საქართველოს ღირსებას კიდევ უფრო უკეთესი წარმატებებით დაიცავენ.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

ბაგებში მინი-ფეხბურთში ლევან თალაკვაძის სახელობის ტურნირი გაიხსნა

ბაგებში, წმინდა გიორგის სახელობის სკოლის სტადიონზე, მინი-ფეხბურთში ლევან თალაკვაძის სახელობის ტურნირი გაიხსნა. ტურნირის ორგანიზატორები ლევან თალაკვაძის მეგობრები არიან.

ტურნირში მოყვარულთა 16 გუნდი მონაწილეობს. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც ლევან თალაკვაძის ხსოვნისადმი პატივის მიგების სურვილი გამოთქვეს. შეჯიბრი 2 კვირის განმავლობაში გაგრძელდება. *„საჭირო თანხა მეგობრებმა შევკრიბეთ. გამარჯვებულებს ფულადი პრიზები, ხოლო საუკეთესო ბომბარდირს ბომბარდირის თასი გადაეცემა. ჩვენ გვსურს, ამ ტურნირით ძალადობას დავუპირისპირდეთ,“* - განაცხადა ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **გიორგი ნასარიძემ.**

მისივე თქმით, ტურნირი ტრადიციად იქცევა და უფრო მასშტაბური გახდება.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.